საქართველოს სახელმწიფო
ტფილისი
საჯ. ბიბლიოთეკა

№ 82
აპრილის 16, ოთხშაბათი 1903 წ.
1877

ივერია

№ 82
აპრილის 16, ოთხშაბათი 1903 წ.
1903

ყოველ დღიური საპოლიტიკო და სალიტერატურო გაზეთი

პირველ აპრილიდან წლის დამლევამდე

გაზ. „ივერია“

ჰღირს 8 მანეთად

გაზეთის „ივერიის“ ფასი თვეობით 12 თვით—10 მან., 11 თვით—9 მ. 50 კ., 10 თვით—8 მ. 75 კ., 9 თვით—8 მ., 8 თვით—7 მ.25 კ., 7 თვით—6 მ. 75 კ., 6 თვით—6 მ., 5 თვით—5 მ. 50 კ. 4 თვით—4 მ. 75 კ., 3 თვით—3 მან. 50 კ., 2 თვით—2 მ. 75 კაპ., 1 თვით—1 მან. 50 კაპ.

აზნაური **ალექსანდრე ესტატეს ძე ეგაძე მეუღლითურთ**, მათი შვილები: **ესტატე, დავით** და **ზაქარია ალექსანდრეს ძენი** და **ნატალია ალექსანდრეს ასული ქარუმიძისა** აუწყებენ ნათესავებს და ნაცნობებს მწუხარე გულით, პირველნი ორნი თვისის უძვირფასესის ასულის, ხოლო დანარჩენნი უსაყვარლესის დის

თინათინის (თიკოს)

უდროოდ გარდაცვალებას და სთხოვენ მათ მობრძანდნენ მიცვალებულის დასაფლავების დღეს, 17-ს აპრილს, დილით, გორის მაზრის სოფელს ტირძნისში.

(2—96—1)

დავით სვიმონის ძე მესხი გულითადას მწუხარებით აუწყებს ნათესავთა და ნაცნობებთ მეუღლის

თამარის

უდროოთ გარდაცვალებას. მიცვალებულის დაკრძალვა მოხდება სოფ. რიონს, საგვარეულო სასაფლაოზე.

შვილნი აუწყებენ ნათესავთა და ნაცნობთ, რომ 24-ს აპრილს გარდახდილი იქნება წლის წირვა და პანაშვიდი

თ. სვიმონ თომას ძის ანდრონიკაშვილისა

ბოდბის წმ. ნინოს მონასტერში, სადაც დაკრძალულია გვამი განსვენებულისა. (2—94—1).

ს.-პეტერბურგის კომპანი
„ნადეჟდა“

ზღვით, მდინარით და ხმელეთით გაგზავნილ საქონლის დასაზღვევად, ტვირთის გასაგზავნად და ქონებათა ცეცხლისაგან დასაზღვევად

დაარსებულია 1847 წელს.

ძირითადი თანხა . . . . 1.650.000 მან.
სათადარიგო თანხა . . . . 2.664,808 მან.

I. გაგზავნა ტვირთისა.

300 საგენტოზედ მეტია ევროპიულ რუსეთის ყველა უმთავრესს ადგილას, კავკასიაში, შუა აზიაში, ციმბირში და შორეულ აღმოსავლეთად, აგრეთვე წარმომადგენელნი ჰყავს უმთავრესს ქალაქებში საზღვარ-გარედ.

კომპანია კისრულობს გაგზავნას და გადაზიდვას ყოველ-გვარ საქონლისა და ნივთისას, მიღებას და ჩაბარებას სახლში, საწყობსა და მაღაზიაში.

კისრულობს ჩაბაროს ბარგი გამგზავნთა მიერ აღნიშნულ პირობით (ფას-დადებით გამგზავნის ხარჯზედ, ფულის გაგზავნა დეპეშით საქონლის გაგზავნისათვის იქ, სადაც ბარგი და საქონელი უნდა იქმნას ჩაბარებული და სხ.).

შენახვა საქონლისა შეღავათიანის პირობით იმ დრომდე, ვიდრე პატრონს ჩაჰბარდებოდეს და დაზღვევა მისი საწყობში, რისთვისაც ბევრგან გვაქვს დიდნი საკუთარნი საწყობანი, განსაკუთრებით საქონლის შესანახად მოწყობილნი.

II. ნავოსნობა.

კომპანიას აქვს საკუთარი გემები, ზღვებსა და მდინარეში საველი ნავები (ბარჟები) პასაჟირებისა და საქონლისათვის, აგრეთვე საბუქსირო გემები (სულ 70 ნავი და გემი). ავლიანი მიმოსვლა პასაჟირთა და ზიდვა საქონლისა მდ. ვოლგას ყოველ ბაქან შორის, რიბინსკიდგან ასტრახანამდე და კასპიის ზღვის ყოველ პორტს შორის, ასტრახანიდგან სპარსეთის საზღვრებამდე.

უზარმაზარნი საწყობნი საქონლისა ნიჟნი-ნოვგოროდში (ციმბირის ბაქანთან, ასტრახანსა, ბაქოსა და კრასნოვოდსკში).

III. დაზღვევის ოპერაციები.

ა) **დაზღვევა** საქონლისა, რომელიც გასაგზავნია როგორც ხმელეთით, ისე ზღვითა და არით.
ბ) **დაზღვევა** ცეცხლისაგან ყოველგვარ ქონებისა.
გ) **დაზღვევა** ყოველ-გვარ ხიფათისაგან გზაში ნავთა ამა თუ იმ ნაწილისა, გემთა, ბარჟებისა ვაგონებისა და ვაგონ-ცისტერნისა.
დ) **დაზღვევა** განძისა, რომელიც გადასატანია ფოსტით ხმელეთით და ზღვაზედ მსოფლიო საფოსტო კავშირის ყველა ადგილას.

დაზღვევას კისრულობს როგორც გამგეობა ისე კომპანიის საგენტონი ყველგან. სატრანსპორტო საგენტოს გარდა, ცეცხლისაგან დაზღვევის ოპერაციას აწარმოებენ 350-ზედ მეტი განსაკუთრებით ცეცხლისგან დაზღვევის საგენტონი.

გამგეობა ს.-პეტერბურგის კომპანიის „**ნადეჟდას**“-ი ს.-პეტერბურგშია, ადმირალტეისტვოს პროსპექტზედ, სახლის № 10.

სხდომ კანტორა და რწმუნებულნი: საზღვაო ნავოსნობის საქმეთათვის—ბაქოში, მდინარეთა ნავოსნობისათვის—ნიჟნი-ნოვგოროდში.

ტფილისის საგენტო სასახლის ქუჩაზე, ქართველთა თავად-აზნაურობის სახლში ტელეფონი № 108. (120—6.—107).

სპირიდონ გიორგის ძე და **ირაკლი მახარობლის ძე სიხარულიძეები** გულითად მადლობას უცხადებენ ყველა იმათ, ვინც დეპეშით, წერილით, თუ პირადად სამძიმარი გამოუცხადეს **იორდანე გიორგის ძის სიხარულიძის** გარდაცვალების გამო.

(1—1).

ქუთაისის გუბერნიის მევენახეთა პირველი ამხანაგობის წევრთა წლიური კრება დანიშნულია 1903 წ. 20 აპრილს, დილის 10 საათზე ს. კუხში. განსახილველი საგნები:

1, განხილვა და დამტკიცება 1902 წლის ანგარიშისა.
2, სარევიზიო კომისიის მოხსენება.
3, შემოღება წარმომადგენელთა საზოგადო კრებისა.
4, გამგეობის მოხსენება მომავალი წლის ოპერაციის შესახებ.
5, სესხის აღების ნებართვა.
6, დამტკიცება მომავალის წლის ხარჯთაღრიცხვისა.
7, არჩევა ერთის გამგეობის და სარევიზიო კომისიის წერთა.

ამხანაგობის გამგეობა:
თავმჯდომარე პ. მდივანი.
წევრი ერ. კიწმარაშვილი.
გამგე ნ. წერეთელი.

(4—6—1)

ცირკი ძმ. ნიკიტინებისა.

ოთხშაბათს, 16 აპრილს დიდი წარმოდგენა 3-ს განყოფილებად. მონაწილეობს მთელი დასი; სხვათა შორის, იქნება 3 ჭიდაობა. 1-ლი ახლად მოსული გამოჩენილი მოჭიდავე **რომო** იჭიდავებს კავკასიურად ალექსი ცისკარაშვილთან. 2, კავკასიური ჭიდაობა საუკეთესო მოჭიდავის გიგო შანშიაშვილისა (იგივე ქიზიყელი) გამოჩენილ მოჭიდევესთან გიორგი ოდიშვილთან (ჯიბგირი) 3-მე, ჭიდაობის მოყვარულთა—ალექსანდრე გედევანოვისა და სანდრო ციციშვილისა.

კავკასიური
ქიდაობა

გაიხსნა

დეკადანსური მაღაზია

საუცხოვო ხელოვნების ნივთებისა არტისტიულ საზოგადოების შენობაში.

(7—6.—2)

ექიმი

ვ. ღამბაშიძე

იღებს შინაგან და საბავშვო ავათმყოფით საღამოს 6—7 საათამდე.

ბინა: ბარონის ქუჩა № 22, დიდი ვანქის ქუჩის კუთხესთან. ტელეფონი 642. (წ.)

კბილის ექიმი

ივანე პავლეს ძე

ახალშენიშვილი

ელისაბედის ქუჩა, 38.

იღებს ყოველ-დღე კბილის სნეულებით ავადმყოფებს დილის 8—10 ს. და 11—2-დის, ხოლო საღამ. 5—7-დის. კვირა-უქმე-დღეებში 9—2-მდის და საღამ. 5—7-მდის.

(წლ.)

ქართველ ქალთა ამხანაგობის

სამკერვალოში

მიიღებენ ყოველგვარ ხელსაქმეს: თეთრეულს ფერადი ძაფით ნაკერებს და **კაბებს** ქალებისას და ბავშვებისას.

ბარონის ქუჩა, № 12.

ტფილისის კერძო სამკურნალო

ბედევანიშვილისა

კუკია, ნიკოლოოზის ქუჩა, სახლი საგინაშვილისა, № 21, ავჭალის ქუჩის დასაწყისში.

ტელეფონი № 274.

ავადმყოფებს იღებენ ყოველ დღე.

დილით:

ვ. ი. ჟიჟინაძე—კბილის სნეულებანი, 8—10 საათამდე, სამშაბათს ხუთშაბათს და შაბათს.

ნ. ტ. მულინი—ყელისა, ყურისა და ცხვირის სნეულ. 9—10 ს.

ვ. დ. ღამბაშიძე—ორშ., ოთხშ., და შაბათ. 10—11.

ზ. ვ. მაღალაშვილი—შინაგან. სამშაბათობით ხუთშაბათობით 10—11 ს.

კამოევი.—საზ: რდეს (ხირურგიული) ავადმყოფთათვის: სამშაბათობით, ხუთშაბათობით და შაბათობით 10 საათიდან 11—მდის.

ი. პ. ახალშენიშვილი—კბილის სნეულებანი 10—11 საათ.

დ. ა. ბედევანიშვილი—შინაგან, ნერვებითა და ელექტროტერაპია 12—1 ს.

ა. მუსხელოვი:—თვალის ავადმყოფობა— ორშ. ხუთშ. და შაბათი. $11^1/_2$—$12^1/_2$.

ვ. მ. მანსვეტოვი—შინაგანი, ნერვებისა და ბავშვებისა—კვირაობით 10—12 ს.

ფრ. ვ. სობოლევსკი—ღოსტაქრობა და ორტოპედია: ორშაბათობით, ოთხშაბათობით პარიღკეობით და შაბათობით 1—3 საათ.

ზ. მ. ამბარდანოვი—ათაშანგისა, კანისა და საშარდესი, 1—3 ს.

საღამოთი:

ა. ზ. მაღალაშვილი—შინაგან, ბავშვებისა და ყვავილის აცრა 5—6 სათამდე. (მიკრო-ქიმიური და ბაქტერიოლოგიური გამოკვლ.)

მუდმივი ექიმი გ. დ. ნასარიძე.

მასაჟი და საექიმო გიმნასტიკა: ორშაბათობით ოთხშაბათობით და პარასკეობით 6—8 ს.

რჩევა-დარიგება 50 კ., ოპერაციები მორიგებით. კრაოტები 3 მან. 5 მანეთამდე. (წ.)

№ 46—8 ტელეფონი № 617

პირველი კერძო სამკურნალო

ექიმის ნავასარდიანისა

(კუკიაში, ვორონცოვის ძეგლის პირდაპირ)

ავადმყოფთ იღებენ ექიმნი ყოველ დღე, კვირა დღეებს გარდა.

დილაობით:

ბ. ა. ნავასარდიანი. 11—12 ს. სადოსტაქრო-ვენერიული (სიფილისი) და საშარდეს ავადმყოფობანი.

ჟ. მ. ჩიქოვანი. 9 საათიდგან 10 საათამდე თვალისა, შინაგანისა და ნერვების ავადმყოფისა.

მ. გ. აპეტისიანცი. 10—11 საათამდე კანისა, ვენერიულ და ხირურგიულ ავადმყოფობისა.

ი. ბაბანასოვი. დილის 11—12 საათ. ქალისა და ბავშვთა ავადმყოფობანი.

ა. ი. ბძელიშვილი. 12—1 საათ. ყელისა, ყურისა და ცხვირის ავადმყოფობანი.

გ. ა. თარხანოვი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგანისა და ბავშვებისა ორშაბათობით, ოთხშაბათობით და პარასკეობით.

ა. პ. კარაპეტიანცი. 1—$1^1/_2$ საათ. შინაგიან და ბავშვების ავადმყოფობისა—სამშაბათობით, ხუთშაბთაობით და შაბათობით.

საღამოობით:

ნ. ნ. როსტომბეგოვი. 5—6 ს. ხირურგიულისა და კანის ავადმყოფობისა (ელექტროტერაპია)

ნ. ს. ლუბეცკი 6—7 საათამდე, ნერვებისა (ელექტროტერაპია), შინაგანი და ვენერიული.

ქალი ექიმი **ა. ი. შჩერბანინა** 7—$7^1/_2$ საათამდის. ქალისა და საბებიო ავადმყოფობისა.

გ. ა. თარხანოვი. $7^1/_2$—8 საათ. ბავშვებისა და შინაგანი ავადმყოფობანი.

ბ. ა. ნავასარდიანი. $7^1/_2$—8 ს.

ს. ტ. არვანიტაკი. 11—1 ს. გაუკეთებს სახლში მსურველთ „მასსაჟს“, აუცრის ყვავილს და გიმართავს საექიმო გიმნასტიკას ექიმის დანიშვნით.

რჩევა-დარიგებისა და რეცეპტების დაწერის ფასი ათი შაური, ღარიბთათვის უფასოდ; ფასი კონსილიუმისა და ოპერაციებისათვის—მორიგებით.

დირექტორი სამკურნალოსი დოქტორი მედიცინისა ნავასარდიანი.

Первая частная лѣчебница д-ра Навасардіана. Тифлисъ, противъ памят. Ворон- (წლ.

ტფილისი

✦ გადაწყვეტილი იყო, რომ იმ ოთხს დასს, რომელიც შემდგარია სახელმწიფო გლეხთათვის მიწების მისაზომად, უნდა ემუშავნა ზამთარ-ზაფხულ პროვინციაში. ახლა-კი, მიწად-მოქმედების მინისტრის რწმუნებულის ბ-ნ მედვედევის თხოვნის თანახმად, სათანადო მთავრობას გადაუწყვეტია, ამ დასებმა იმუშაონ მხოლოდ ზაფხულობით ექვსს თვეს პროვინციებში, ხოლო ზამთრობით დანარჩენ ექვს თვეს ტფილისში და აქვე ჰქონდეთ თავიანთი სამხაზველონი. თითო დასში, როგორც ვიცით, არის ერთი უფროსი მწარმოებელი საქმეთა, 2 უნცროსი მწარმოებელი, 1 უფროსი სამხაზველოსი და 13 ტოპოგრაფი—მიწის-მზომელი, სულ 17 კაცი.

✦ როგორც გავიგეთ, ბათუმში გასამართლებულ მუშებს შეუტანიათ სასამართლო პალატაში სააპელაციო საჩივარი. მუშებს გაუცხადებიათ, რომ დამცველებად ისევ ის ვექილები გვეყოლება, რომელნიც ბათუმში იცავდნენ ჩვენს საქმესაო.

✦ ქალაქის თავს თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვს მიუმართავს ციციანოვის აღმართის გასამაგრებლად დანიშნულ კომისიის თავმჯდომარისათვის თხოვნით, დაამთავრა თუ არა ამ კომისიამ თავისი მუშაობა, ან საჭიროა თუ არა ახალ წევრთა ამორჩევა, რადგან არსებულ კომისიას დავალების დრო გასდისო.

✦ უკვე შეუდგნენ კიროჩნის ქუჩაზედ სახალხო სახლის აშენებას ტეხნიკ ოჰანჯანოვის ხელმძღვანელობით. გეგმის თანახმად გადაწყვეტილია გაიმართოს თეატრი, დარბაზი ლექციების საკითხავად, სამკითხველო, წიგნთ-საცავი, სასადილო და საჩაიე.

✦ 13 აპრილს ტფილისის ნოქართა ურთიერთ დამხმარებელ საზოგადოების კრება იყო. კრებაზედ დამტკიცდა ანგარიში 1902 წლისა, რომლიდანაც სჩანს, რომ ამ საზოგადოებას ჰქონდა შემოსავალი 4,645 მ. 69 კ. ხარჯი—1,210 მ. 20 კ. საზოგადოებას დარჩა 3,438 მ. 49 კ. შემდეგ კრებამ განიხილა მოხსენება სავაჭრო სკოლების დაარსების შესახებ. გამგეობის წევრებად აირჩის: დ. ა. მარგულოვი, ა. ი გრძებინი, ყიფიანი და ნ. ვ. აბრამიანი, ამათ კანდიდატებად: კ. მ. შირინიანი, ნ. ი. ცისინი, კ. ლ. აქჯანიანი და ს. ა. გალუსტოვი: სარევიზიო კომისიის წევრებად: ბ. ე. ბოზუხი, მ. ბ ტერ-არუთინოვი, ვ. ა. ავაკიანი და ბ. ა. მელქონოვი.

✦ მარტის ბოლო რიცხვებში სოფ. გეორგი-წმინდაში (ტფილისის მაზრა) წითელით ავად გამხდარა 23 ბავშვი, ამათში 10 მორჩენილა, 13 ჯერ ისევ ავად არიანო.

✦ ქალაქის გამგეობამ 14 აპრილს მოსთხოვა ქალაქის სახელოსნო სასწავლებლის დირექტორს დაუბრუნოს ის 318 მ. 5 კ., რომელიც სასწავლებლის შემოსავალ ფულიდამ დაიჭირა სამის თვის ჯამაგირის მიუღებლობის გამო.

✦ ს. კასპში (გორის მაზრა) მცხოვრებელ ნიკო გოგიჯანაშვილისათვის ვიღაც ბოროტმოქმედთ დუქნიდამ მოუტაცნიათ სხვა-დასხვა ავეჯეულობა, ღირებული 113 მ. 45 კ.

✦ როგორც ამობენ, იორდანე სიხარულიძის მკვლელნი, სამსონ ბედია. ილარიონ ლეჟავა უკვე შეუპყრიათ. ილარიონ ლეჟავა წინად თურმე მსახურად ყოფილა სიხარულიძესთან.

✦ მექანიკურ ქარხნის წარმომადგენელს ინჟინერ გრიბოედოვს მიუცია წინადადება კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებისათვის, რომ ახალ სისტემის სეტყვის ასაცდენი ზარბაზანი (**мортира**) მეტად ხელს შეუწყობდა კავკასიაში მევენახეობას ¢ ამიტომ კარგი იქნებოდა, რომ საზოგადოებას გამოეწერა ეს ახალ სისტემის ზარბაზნებიო. კავკასიის სასოფლო-სამეურნეო საზოგადოებამ შეუთვალა გრიბოედოვს, რომ ეს ორი წელიწადია, რაც კელის და კარლ გრეინიცის იაფფასიან და მოხერხებულ სისტემის ზარბაზნებს ხმარობენ კავკასიაშიო. საცდელად წელს გამოგვიგზავნეთ რამდენიმე ზარბაზანი როზენბერგის სისტემისა და, თუ გამოსადეგი იქნება, მაშინ გამოვიწერთ ხალხში გასავრცელებლადაო.

✦ 14 აპრილისათვის დანიშნული ხელოსანთა და ვაჭართა კრება მამასახლისების ამოსარჩევად არ შესდგა.

✦ კავკასიის სასოფლო სამეურნეო საზოგადოებას სიღნაღის მაზრაში სამ ადგილას, გურჯაანსა, ველისციხესა და კარდანახში, დაუარსებია ვაზის სამკურნალო მასალის საწყობი.

—

ტფილისის ქალაქის საბჭო. 14 აპრილს კრება დაიწყო ცხრის ნახევარზედ; კრებას თავმჯდომარეობდა ახლად ამორჩეული ქალაქის თავი თ. ნ. ვ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, რომელმაც საბჭოს დაახლოვებით შემდეგის სიტყვებით მიჰმართა: „მ. ხ.! თქვენ საჭიროდ სცანით ახლად ამორჩევა ჩემი ქალაქის თავად. დამიდგით ყუთი, მაშასადამე, ქალაქის თვითმართველობისათვის ჩემი სამსახური საჭიროდ და სასარგებლოდ დაინახეთ და მეც ვალდებული ვიყავ დავთანხმებულიყავ. მივიღე ქალაქის თაობა სრულიად დარწმუნებულმა, რომ თქვენ შორის ვიპოვი ერთგულ დამხმარეთა და ხელის შემწყობთ ჩემის რთულისა და ძნელის მოვალეობის შესასრულებლად. მე მზადა ვარ ამ გარემოებაში ჩემი შრომა და მოვალეობა ბოლომდის პირნათლად აღვასრულო. მუდამ მაფიქრებდა და მაწუხებდა ქალაქის აუცილებელნი საჭიროებანი; ქუჩების მოკირწყვლა, განათება, საუკეთესო საყასბოები და სხვა. ეს მესამედ მარგუნა გარემოებამ ჩემის დედა-ქალაქის თავობა; ეს გარემოება შეძლებას მაძლევს ის, რაც წინად ქალაქის თავად ყოფნის დროს ვერ მოვასწარ და ვერ შევასრულე, ახლა განვახორციელო, რადგან იმედი მაქვს ეხლანდელი ეკონომიური მდგომარეობა ქალაქისა ამით ხელს შემიწყობს. თუ ეხლაც არ დაკმაყოფილდა ქალაქის საჭიროებანი, მაშინ ჩვენის ქალაქის თვითმართველობა ხალხის თვალში დაჰკარგავს ნდობას. დარწმუნებული ვარ, ვიდრე ვადა გამითავდება, ქალაქი ელექტრონით განათებული იქნება, ქალაქს ექნება სამაგალითო საყასბოები, ქუჩები საუკეთესოდ მოკირწყლული, ექნება უხვად წყალი და სხვა. ამ გვარად, ჩვენი ტფილისი კარგად მოწყობილ ქალაქთა შორის თვალსაჩინო ალაგს დაიჭერს; დარწმუნებული ვარ, ქალაქის თვით მართველობის ყოველი ორგანო ხელს შემიწყობს და დამეხმარება ქალაქის გამშვენებასა და მის საჭიროებათა დაკმაყოფილების საქმეში.

დასასრულ უღრმეს მადლობას გიძღვნით, როგორც ამორჩევისათვის, აგრეთვე იმისათვის, რომ შეძლება მომეცით ჩემის ხელმძღვანელობით განხორციელდეს ჩემდა რწმუნებულ ქალაქის საჭიროებანი. (ხანგრძლივი ტაშის ცემა).

ვიდრე საქმეების გარჩევას შეუდგებოდნენ, ხმოსანი ა. ბაბოვი შეეკითხა ქალაქის თავს, გავიგონე, ბ-ნ მ. ი. არამიანცმა ქალაქს ასი ათასი მანეთი შესწირა ქალაქის საავადმყოფოს ასაშენებლად, ეს ხმები მართალია, თუ არაო.

ქალაქის თავი. მართალია, ბ-ნმა არამიანცმა ათი ათასი თუმანი შესწირა ქალაქს იმ პირობით, რომ ქალაქმა მის სახელობაზედ საზოგადო საავადმყოფო ააგოს. ამ ფულიდგან 25 ათასი მან. უკვე გადმოსცა ბ-ნმა არამიანცმა და მითხრა, დანარჩენს 75 ათას მანეთს, შეიმუშავებს თუ არა საბჭო საავადმყოფოს პროექტს, დაუყოვნებლივ წარმოგიდგენთო. (ტაშის ცემა. ხმები: გამოეცხადოს უხვის შემოწირულებისათვის მადლობა).

შემდეგ საბჭომ მოისმინა საურთიერთო დაზღვევის საზოგადოების გამგეთა მოხსენება იმის შესახებ, რომ ამ საზოგადოების წესდების ზოგიერთი მუხლი შეიცვალოს. ცხრა აპრილს, როგორც ნათქვამი გვქონდა ჩვენს გაზეთში, საბჭომ ზოგიერთი მუხლი გაარჩია და მოიწონა, დღეს კიდევ დანარჩენი განიხილა და საჭიროდ სცნო მათი იმ გვარად შეცვლა, როგორც ეს ამ საზოგადოების გამგეობას სურდა.

საბჭომ მოისმინა საგუბერნიო სამოქალაქო საქმეთა საკრებულოს გადაწყვეტილება შესახებ ქალაქის საბჭოს დადგენილებისა იმის გამო, რომ ქალაქის გამგეობამ ამ წელიწადში იხელმძღვანელოს წარსულ 1902 წლის ხარჯთაღრიცხვით. საბჭომ დაადგინა სწორედ ასე მოიქცეს.

თავჯდომარემ გამოაცხადა, დღეს სახელოსნო სასწავლებლის დებულების ახალი პროექტი გვაქვს განსახილველი, მაგრამ ვიდრე ხელ-ახლა არ გადათვალიერდეს ეს დებულება, იმაზედ ბაასი ეხლა მეტად და მოუხერხებლად მიმაჩნია; ამისათვის ამაზედ ლაპარაკი შემდეგისთვის გადიდოსო. საბჭო დაეთანხმა.

შემდეგ ამორჩეულ იქმნა ხმოსანი ნ. ნ. ოსტროგორსკი, რომელმაც ქალაქის თავის მაგიერ საბჭოში უნდა ითავჯდომარეოს, როცაკი ქალაქის თავი კრებას არ დაესწრება.

ბოლოს მოხდა კომისიების ამორჩევა. ამოირჩიეს კომისიები: მცხოვრებთა ჯანმრთელობის საზრუნველად, რომელშიც აარჩიეს: მ. ზ. ავთანდილოვი, ს. ი. ანანოვი, ა. ი. ვართანოვი, მ. ნ. ვესელოვზოროვი, თ. ა. მ. არღუთინსკი-დოლგორუკოვი, ლ. გ. ევანგულოვი, კ. ა. გონიევი, ე. ს. ბაბოვი, ს. ი. ვაწაძე, მ. ვ. ლუნკევიჩი, ა. ი. ხატისოვი და ს. ა. სულხანოვი; კომისია ქალაქის წყლის მოსაწესრიგებლად. ი. მ. ალიხანოვი, ა. პ. ანდრეევი. ა. ს. ბაბოვი, ე. ს. ბაბოვი, ა. ი. ვართანოვი, ს. ი. ვაწაძე, ნ. კალანთაროვი, გ. ე. კირაგოზოვი, მ. ვ. ლუნკევიჩი, გ. მელიქ-კარაგოზოვი, ა ფრიდონოვი და გ. გ. შაჰბუდაღოვი. მუხრანის ხიდის გასაკეთებელ კომისია: ა. ს. ბაბოვი, გ. ე. კირაკოზოვი, ა. თ. ფრიდონოვი, ა. დ. სურენიანცი და გ. გ. შაჰბუდაღოვი.

ბოლოს არჩეულ იქნა ქალაქის სასაფლაოს საკითხების გამოსაკვლევად კომისია, რომელშიაც მოჰყვნენ: თ. ა. ი. ბებუთოვი, ნ. ა. გრიქუროვი, ი. ი. მეიერი, ა. დ. სურენიანცი და ი. ფ. ტიგრანოვი.

კრება გათავდა 11 საათზედ.

ლეჩხუმის თავად-აზნაურთა კრებაზე გამოთქმულ აზრების გამო.

მადლობა ღმერთს, ჩვენი მაზრის თავად-აზნაურობა, როგორც სჩანს, უკვე იღვიძებს გონებით... იგი ჩაჰკვირვებია თავის ყოფა-მდგომარეობას და, რაც დაუნახავს ცხოვრების შეუფერებელი, სცდილობს როგორმე თავიდამ მოიშოროს; ხოლო რაც ცხოვრებაში ხეირის მომცემი და წინ ბიჯის წამდგმელი აქვს გამოკლებული, მეცადინეობას იჩენს მისის მოპოებისა და შეძენის შესახებ. არა მარტო მათ შესახებ, რაც ამ წოდების კერძოდ კეთილ-დღეობას ხელს უწყობს, არამედ მაზრის მკვიდრთა ყოველ წოდებისაც.

ძველადგანვე ჩვენს ქვეყანაში საზოგადო საერთო საჭირო საქმეების წინ გაძღოლა, გაკეთება და მისთვის ზრუნვა შეადგენდა ერთს უმთავრეს საგალდებულო საგანს თავად-აზნაურთა კლასისას. ამ თავის ისტორიულ მოვალეობას რომ დღესაც არ ღალატობს, რამდენადაც ღონე შესწევს, თავად-აზნაურობა, ამის დასამოწმებლად, სხვათა შორის, აღსანიშნავია 28 მარტს მომხდარ ლეჩხუმის მაზრის თავად-აზნაურთა მორიგ კრებაზე გამოთქმული აზრები და მიღებული სარჩიელნი. თ. ლევან დადეშქელიანის მიერ შეტანილი სარჩიელი, რომ ლეჩხუმის თავად-აზნაურთა კრებამ სთხოვოს გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებულს, რათა მან იკისროს შუამდგომლობა უმაღლესის მთავრობის წინაშე სვანეთის პირველ-დაწყებითს სკოლებში ქართულ ენის სწავლების უფლების მინიჭების შესახებ,—ფრიად საყურადღებო და დიდ მნიშვნელოვანი სარჩიელია...

იმის დასამოწმებელი საბუთების აღნუსხვა, რომ სვანები ტომით ჩვენი მოძმე, იგივე ქართველი ხალხია,— რასაკვირველია, ვინც ჩვენის წარსულის ყოფა-მდგომარეობის ცოტა რამ მაინც იცის,—მისთვის საჭირო აღარ უნდა იყოს.— მაშასადამე, სვანების ძირითადი ლედავს, რომლითაც მას შეუძლიან გამოსთქვას სავსებით თავისი აზრი და გრძნობანი, რომლითაც შეუძლიან შეიძინოს გონებრივი განვითარება და უოველგვარი სწავლა, არის ქართული ენა, ის ენა, რომელსაც აქვს თავისი საკუთარი ანბანი, თავისი ისტორია, თავისი ლიტერატურა... მაშასადამე, ქართულის ენისა და წერა-კითხვის უცოდინარობა სვანებისათვის ისეთივე დიდი დასაკლისია გონებრივის განვითარებისა და განათლების მხრივ, როგორც ქართლელის, იმერლის და სხვა ჩვენი ქვეყნის კუთხის მკვიდრ ქართველებისათვის...

ჩვენ სრული იმედი გვაქვს, რომ ქუთაისის გუბერნიის თავად-აზნაურთა მომავალი კრება ჯეროვანის ყურადღებით მოისმენს და თანაგრძნობით მიიღებს ლეჩხუმის თავად-აზნაურთა თხოვნას ზემოხსენებულ საგანზედ და იკისრებს კიდეც შუამდგომლობას სადაც ჯერ არს. მით უმეტეს, რომ გუბერნიის თავად-აზნაურთა კრებას უმაღლესად ნაბოძები აქვს უფლება საზოგადო საჭირო საგნებზე შუამდგომლობისა უმაღლესის მთავრობის წინაშე. საიმედოა, თუკი თავად-აზნაურობა კანონიერის წეს-რიგით აწარმოებს მონიჭებულის უფლების საფუძვლით შუამდგომლობას, შეწყნარებულ უნდა იქნეს ეს შესაწყნარებელი სათხოვარი...

ყურადღების ღირსია აგრეთვე სარჩიელი თავ. ე. გარდაფხაძისა, რომ აღიძრას შუამდგომლობა ლეჩხუმში სამეურნეო სასწავლებლის დაარსებაზე. ჩვენ არა ერთ გზის აღვგინიშნავს ბეჯვლითი სიტკვით ის სამწუხარო ფაქტი, რომ არც ერთი კუთხის მცხოვრები ჩვენის ქვეყნისა არა სდგას ისე უკან სწავლა-განვითარების მხრივ, როგორც ლეჩხუმის მაზრის მკვიდრნი; და ეს, რასაკვირველია, მანამდის ასე იქნება, სანამ თვით საზოგადოება არ ეცდება სწავლა-განათლების მომფენ ტაძრების აგებას თვით ლეჩხუმშივე.

უხსოვარის დროიდამ ქართველ ხალხის ცხოვრების უმთავრეს კაპიტალს წარმოადგენდა მეურნეობა, მიწად მოქმედება. დღესაც ჩვენის ხალხის არსებითის პურის სადარის წარმოადგენს მიწა და მისი დამუშავება. მაშასადამე, ჩვენი ხალხისათვის,—რა-კი იგი მარტო დედამიწას შეჰყურებს და მისგან მოცემულის ნაყოფით ედის ცხოვრებას,—ახალი ტიპის სამეურნეო სწავლა განვითარება ყველაზე უფრო საჭიროა, ძველი, მამა-პაპური სამეურნეო ცოდნა და იარაღები ეხლა ვეღარ აკმაყოფილებს მეურნის საჭიროებას, ვეღარ აჯილდოებს ჯეროვანად მის შრომას. ყველასთვის ცხადია ის ჭეშმარიტება, რომ რასაც ნასწავლი მეურნე ერთი ქცევა მიწიდამ მოიმკის ნაყოფს, უსწავლელი მუშა ათი ქცევიდამ ვერ მიიღებს.

სურვილი და აზრი ყოვლად საპატიოა, რომ ლეჩხუმში დაარსდეს ზემოხსენებული სასწავლებელი, მაგრამ სურვილსა და მის განხორციელების შორის ეკლით მოფენილი მანძილი სდევს და ამ ეკლიანს გზას გაივლის ლეჩხუმის მკვიდრი, თუ არა?—ეს არის უმთავრესი საკითხი. საქმე ის არის, რომ თუ ჩვენ ჩვენისავე ღარიბ ჯიბიდამ არ გამოვიმეტეთ-რა, ისე არაფერი ხეირის მომცემი არ მოგვენიჭება. ძალიან, ლეჩხუმმა არაფერი არ უნდა დაიშუროს მისთვის, რომ გაიჩინოს სამეურნეო სწავლა-ცოდნის მომცემი სკოლა. თუ გული გულობს, ქადა ორივე ხელით იჭმევაო, ნათქვამია. თუ დიდათ პატივცემულმა ი. წინამძღვრიშვილმა, ერთმა კაცმა, თავის საკუთარის გარჯითა და ხარჯით, შესძლო დაარსება წინამძღვრიანთ-კარში სამეურნეო სასწავლებლისა, მთელს ლეჩხუმის მაზრას რად უნდა გაუჭირდეს ის, რაც ერთმა კაცმა შესძლო?..

28 მარტის კრება ლეჩხუმის თავად-აზნაურთა და მისნი დადგენილებანი ბევრის მხრით არის საყურადღებო.—ღმერთმა ინებოს მათი სასარგებლო აზრების განხორციელება.

ქაიხოსრო გელოვანი.

ქართლის ვიწრო-კვლიან რკინის გზის პროექტის გამო.

ბატონმა გ. ჟურულმა დიდი სამსახური გაუწია, როგორც თავის სამშობლო ქვეყანას, ისე თავის მეზობელ ხალხს, რომ ეს ფრიად საჭირო და სასარგებლო საქმე იდვა თავს. გამოიძია, გამოიკვლია, შეადგინა გეგმა და წარუდგინა გორის თავად-აზნაურთა კრებას, რომელმაც მადლობა გადაუხადა და სცნა საჭიროდ. მომავალი კრება გუბერნიის თავად-აზნაურთა, იმედია, ნაკლებისთანაგრძნობით არ მოეკიდება ამ დიდ და საჭირო საქმეს. ერთი რამ უნდა ვსთქვათ მხოლოდ. ბ-ნ გ. ჟურულის მოსაზრებით, გორიდგან ცხინვალამდის ვიწრო-კვლიანმა მატარებელმა უნდა გაიაროს ისევ ის ძველი გზა-ტკეცილი (ცოტადენის ცვლილებით) და გაჩერდეს ცხინვალის გადასახედთან, ზღუდრის ეკლესიის ქვემოდ, რადგან გზა და კვალი ნებას აღარ აძლევს რკინის გზას განგრძობისას. ამ რკინის გზით უნდა ისარგებლონ მეჯვრისხევისა, პატარა და დიდი ლიახვის ხეობამ. რა სარგებლობას მოუტანს მომავალი რკინის გზა ამ მხარეს, ჩვენ ამის განხილვაში არ შევალთ, მხოლოდ ვიტყვით იმას, რაც ჩვენის სუსტი ჯიბისათვის სამძიმო, მოუხერხებელი და ამაო ხარჯის გაღება იქნება.

როგორც ვიცით, ერთი ხიდი მტკვარზედ უნდა გააკეთონ (თუ გააკეთეს), მეორე ამაზედ მორჩილი გორის ციხის წინ უნდა გაკეთდეს, მესამე და მეოთხე (ამოდენავე) კარალეთში, მეხუთე—პატარა ლიახვზედ. ეს ხიდები-კი იმოდენა ფულს მოითხოვს, რომ მისი გათვალისწინებაც კი შეუძლებელია. შეუძლებელია იმიტომ, რომ პატარა ლიახვი მეტის მეტი ცელქი და დაუდგრომელი მდინარეა, და ადვილად შესაძლებელია, რასაც მოგებად გადაარჩუნებენ, ის ხიდების რემონტმა წაიღოს. ბ-ნ გ. ჟურულსაც სწორედ ეს უნდა ჰქონდეს ფიქრად, როდესაც ამბობს, თუ ვინიცობაა, აქეთ თუ აქეთ გზა მოუხერხებელი შეიქნა, მიმართულება რკინის გზისა დოღლაურზედ შეიცვალოსო. სწორედ გონივრული მოსაზრებაა. როგორც ვიცით, ქვენა ტეოტის ბოლოზედ ნახევარი სადგურია გამართული, ასე რომ დოღლაურიდან მომავალი მატარებელი ჯერ აქ ჩამოივლის და მერე ქარელს ჩაუვლის. აი, ეს დასასვენებელი ნახევარ სადგური უნდა გავაფართოვოთ და მთავარ სადგურად გადავაქციოთ. მართალია, აქაც უნდა ორ ალაგას ხიდი ფრონეებზედ, მაგრამ პატარა ლიახვის ხიდთან სახსენებელი არც-კი არის, მაშასადამე, შეგვიძლიან აქედგან გონიერ კვლიანი გზა დავიწყოთ. ის გზა შემდეგ სოფლებს აუვლის: არადეთი, სადოლაშენი, ბრეთი, ძლევის ჯვარი, უღლტეული, ქვემო ხვითი, ზემო ხვითი, ზემო ნიქოზი, ცხინვალი, დგვრისი (მთავარი სადგური ცხინვალის თავზედ და დგვრისის ბოლოზედ უნდა იყოს), თამარაშენი, ქვემო და ზემო აჩაბეთი, ქურთა, კეხვი, მესამე სადგური კეხვის თავზედ უნდა იქმნეს.

ამ სოფლებს გარდა, ისარგებლებს ამ რკინის გზით ფრონის ხეობის სოფლები: დირბი, დვენი და მთლად წერმისის ხეობა. ამავე რკინის გზით ისარგებლებენ გაღმა-გამოღმივ დიდი ლიახვის ხეობა: შინდისი, ფხვენისი, ქვემო ნიქოზი და სხვანი. ამავე რკინის გზით ისარგებლებენ ტევიავი, ტირძნისი, დიცი, არბო, ერედვი, მეღვრეკისი, ერგნეთი, ხეითი, საბა წმინდა, გარწემი, ქემერტი, სვერი და მთლად ჯავის ხეობა, საიდანაც უთვალავი ფუთი ყველი, ერბო, მატყლი, ხალი, ხე-ტყე და სხვ. გამოიტანება.

უნდა ვიგულისხმოთ, რომ თუ სარგებლობა არის სადმე, აქეთ უნდა იყოს, ხოლო საჭიროა ფართო რკინის გზის გამოყვანა და აი რათა: ყოველი მოგზაურე ამასა სცდილობს ცოტა შრომით ბევრი გააკეთოს. მაგალითად, ხილის ვაჭარი მოვიდა, ხუთ-ექვს სოფელში აქვს ნაყიდი ხილი, მაგალითად ერთ სოფელში მოკრიფა ჭ ორი ვაგონი დატვირთა კიდეც, გაისტუმრა, ვსთქვათ, ბაქოში. უსათუოდ პატარა ვაგონებს თვითონაც თან უნდა გაჰყვეს, გადაცვალოს სხვაქართზედ სხვა ვაგონში, რომ საქონელმა დანიშნულ დროზედ მიახწიოს თავის ალაგს. არ გახლავთ, ვსთქვათ, ვაგონები ჩვენი რკინის გზის გამგეობის მოწყალეობით. უნდა ელოდო ორი და სამი დღე და ორ სამ ნაირად უნდა გაიყვლიფო. ამას გარდა გუშინ და დღეს თუ დარი იყო, უცებ მოიქუშა ცამ და ერთი კვირა გადაუღებლად სწვიმს. ორი და სამი დღე გორში რომ არ დაბანდებულიყო კაცი, ორსა და სამ ვაგონს კიდევ შეასრულებდა, გაჰგზავნიდა და თავის საქმეს გაასწორებდა; ამიტომ ვამბობთ და საჭიროც არის ისეთი ვაგონები შეიძინონ (თუ გინდა ამიერ-კავკასიის რკინის გზის გამგეობისაგან), როგორც ამიერ რკინის გზებზედა მუშაობენ, რომ პირდაპირ ვაგონი ჩაბარონ რკინის გზასა და დანიშნულებისამებრ იგზავნებოდეს სასწრაფოდ პატრონის უკან უდევნელათ.

ამიტომ, თუ გვინდა ჩვენს თავსაც ვარგოთ და სხვასაც, ასე უნდა მოვიქცეთ. თუ არა და ამაო იქნება ჩვენთვის ვიწრო კვლიანი რკინის გზა.

დიდი ლიახველი.

ჩვენებური ამბები

სურამი. „უბედურ კაცს ქვა აღმართში მოეწევაო“, ნათქვამია და, რასაკვირველია, დაღმართში სულ არ გაუჭირდება მოწევა. ასე დაემართა ჩვენს სამკითხველოს, რომელიც 4 აპრილს ვიღაც ბოროტ-გამზრახველმა გასტეხა. ეს არც გასაკვირველია, რადგანაც სამკითხველოს ნამდვილი ყურის მგდებელი არა ჰყავს. შეიძლება მითხრან სამკითხველოს „პატრონებმა“, აკი ბიჭი დავიჭირეთ სამკითხველოს ყურის საგდებლად და თვეში ხუთ მანეთსაც ვაძლევთო, მაგრამ ამით თვითვე გაიმტყუნებენ თავს; სად გაგონილა, რომ სოფლის სამკითხველომ, რომელსაც თავისი არსებობაც ვერ დაუცავს, უსახსრობისა გამო, თვეში ხუთი მანეთი გაიღოს მოსამსახურის ფასად? თუ არ დაიშალეს და მაინც ბიჭი დაიჭირეს, სად იყო ის ბიჭი, როდესაც ქურდმა სამკითხველოს კლიტე გატეხა, შევიდა სამკითხველოში და თავი ააგლიჯა იმ ყუთს, რომელშიაც სამკითხველოში შემსვლელნი ფულს აგდებდნენ. მეორე დღეს სამკითხველოს კარები ღია იყო, შკაფები, რომლებშიაც წიგნები და ჟურნალ-გაზეთები ეწყო, ხელ-უხლებელი. ყუთში იყო 52 კაპეიკი, რომელიც ქურდს რაღაც მანქანებით გადარჩენოდა. ნამდვილად არავინ იცის, კასაში რამდენი იყო ფული, ის-კი ვიცით, რომ კასა ოთხი თვეა არ გაუხსნიათ...

ამას გარდა, სამკითხველოს საქმეები ძალიან აწეწილ-დაწეწილია... მესამედიც არ არის შემოტანილი საწევრო ფულისა და ამიტომ აუცილებლად საჭიროა ამ მოკლე ხანში დაინიშნოს სამკითხველოს წევრთა საზოგადო კრება. სასურველია აგრეთვე, რომ სარევიზიო კომისიამ თავისი მოხსენება წარუდგინოს საზოგადო კრებას გამგეობის მოქმედებისა და სამკითხველოს საქმეთა გაუმჯობესების შესახებ.

ა—ნა.

—

გაგრა (სოხუმის ოლქი). ბუნებით უხვად დაჯილდოვებული გაგრა, მთლად ააყვავა და გაამშვენიერა პრინც ოლდენბურგელის დაუღალავმა შრომამ და მეცადინეობამ. დღე არ გავა, რომ რომელიმე უწარჩინებულესი კაცი არ ეწვიოს გაგრას და რაიმე სასარგებლო საქმე არ შესძინოს ადგილობრივ მკვიდრთა სასარგებლოდ. რამოდენისამე თვის წინად დავიწყებულ გაგრაში, დღეს რამდენსამე თვალწარმტაცს შენობას ჰხედავ ევროპიულს გემზედ, ზოგს დამთავრებულს და ზოგსაც ახლად დაწყობილს. მილიონერების პატრონები ერთმანეთს ეცილებიან ადგილის შეძენას, რომელიც ამ ბოლოს დროს თითქმის აღარცკი იშოვება გასასყიდი. ადგილობრივ მკვიდრთ, მეტადრე თავად-აზნაურთ, ადრევე მიასწრეს ფულის პატრონებმა და დღეს დაუფასებელი ადგილები ჩალის ფასად შეიძინეს. მხოლოდ ისინი სარგებლობენ ახლა მილიონერების პატრონთა ჯიბეებით. ოც და ორმოც მანეთად ნაყიდ დესეტინას, დღეს ათასიდან —ხუთი ათას მანეთამდის ჰყიდიან და ძველი პატრონები-კი გულდაწყვეტილნი შესცქერიან შორიდან ამ ფულის ზღვას. იძახიან, ეს რა დაგვემართაო, მაგრამ ახალი ამბავი ხომ არაა ჩვენთვის?! მუდამ ბოლოს ვიცით თვალის გახელა, როცა საქმეს აღარა ეშველება-რა. მამაპაპათა სისხლით მორწყულ ადგილით სხვას ჯიბე ემსება და ჩვენ-კი ჯიბე და კუჭი ერთად გვიცარიელდება. „ესე ამბავი ჩვენს თავსა არ ახალია, ძველია“ და, ვინ იცის, როდის ექნება დასასრული...

ამინდები მშვენიერია ამ ბოლოს დროს, თუმცა ზამთარმა გამუდმებულის წვიმებით შეგვაწუხა. მაგრამ სამაგიეროდ გაზაფხული კარგი დაგვიდგა; მიჰყვეს ხელი ადგილობრივ მკვიდრთ სიმინდის თესვას, რომელიც ცხოვრების უპირველეს სახსრად მიაჩნიათ და არცკი ჰფიქრობენ სხვა უკეთესის მოსავლით სარგებლობას, მაშინაც კი, როდესაც ჰხედავენ, რომ გადმოხვეწილნი სხვა ქვეყნიდან ბერძნები და აისორები თუთ-უნის პლანტაციებით ჯიბეებს ივსებენ. დროა, ჩვენმა სამეურნეო ცოდნით აღჭურვილმა ახალგაზრდობამ ამ დავიწყებულ მაზრებსაც მოჰხედოს. ვაი ჩვენი ბრალი! საქმე ბევრი გვაქვს, მაგრამ გამკეთებელი არავინა გვყავს.

27 მარტს ფრიად შემაძრწუნებელი ამბავი მოხდა: ბათუმიდან მომავალ სამგზავრო გემზედ ფარნა ხოშტარიამ სასიკვდილოდ დასჭრა ხანჯლით ჯუჯუ გერსამია, რომელიც, რამდენისამე საათის შემდეგ, გარდაიცვალა. საქმე ამნაირად ყოფილა, რაიცა შემდეგ გამოირკვა: 1902 წ. 27 სექტემბერს, კოდორის მახლობლად მელიტონ გრიგოლაშვილის ხე-ტყის ქარხანას ცეცხლი გაუჩნდა; ცეცხლმა თითქმის თორმეტი-ათასი მანეთის ზარალი მისცა ხე-ტყის მრეწველს გრიგოლაშვილს: გრიგოლაშვილმა ეჭვი მიიტანა ჯუჯუ გერსამიაზედ, რომელიც პოლიციამ დაამატიმრა. გამოძიებითაც დამტკიცდა გრიგოლაშვილის ეჭვი, გამომძიებელმა საქმე გადასცა სისხლის სამართლის განყოფილებას განსახილველად. სასამართლომ უდანაშაულოდ იცნო ჯუჯუ გერსამია და გრიგოლაშვილს უარი უთხრა საჩივარზედ. 26 მარტს, განთავისუფლების შემდეგ, სახლში მოდენილა გერსამია. ფოთში ერთად ჩამსხდარან გემში გერსამია და ბ-ნი მ. გრიგოლაშვილი თავის ორის მხლებლით—ფარნა ხოშტარიათი და აბდულ-ეფენდი ოღლით. თითონ გრიგოლაშვილი პირველ კლასში მოთავსებულა და მოსამსახურენი-კი მესამე კლასით მოდიოდნენ. გერსამიაც იმათთანვე იმყოფებოდა. გზაზედ გერსამიას დაუპატიჟნია ხოშტარია და ეფენდი-ოღლი, რომელთაც არ მიუღიათ ეს პატიჟი და უპატიურ სიტყვებით გაულანძღავთ გერსამია. გერსამია მოჰშორებია და, ცოტა ხნის შემდეგ, შექეიფიანებული ღვინით მისულა და ლანძღვა დაუწყვია და, სხვათა შორის უთქვამს: „დღეს ან მე უნდა მოვკვდე და ან თქვენის „ხაზეინის“ სისხლი უნდა დავლიოვო.“ ამ დროს ეფენდი-ოღლის სილა გაურტყამს გერსამიასთვის,—როგორა ჰბედავ შენ მაგის თქმასაო. გერსამიას ხანჯალზედ გაეკრა ხელი, მაგრამ, სანამ ამოღებას მოასწრებდა, ხოშტარიას ხანჯლით სასიკვდილოდ დაუჭრია. დაჭრილი დაცემულა და ერთის საათის შემდეგ გარდას დაცვლილა. გემის გამგეობამ დაატუსაღა ფარნა ხოშტარია და ეფენდ ოღლი და გარდასცა ადლერის პოლიციას. მიცვალებულიც ადლერში გადაასვენეს. ოქმის შედგენისა და გამომძიებლის მიერ შემოწმების შემდეგ, 28 მარტს, მიწას მიაბარეს მსხვერპლი თავ-გასულობისა, დატუსაღებულნი ეტაპით გაგზავნეს სოხუმის საპატიმროში. ბ-ნი გრიგოლაშვილიკი არხეინად წაბრძანდა თავის ხე-ტყის ქარხანაში ადლერის მახლობლად; ეს ახალი ქარხანა ამ რამდენისამე კვირის წინად შეიძინა პირველის გადამწვრის მაგივრად

ამ ბოლოს დროს ძალიან გახშირდა ჩვენკენ ქურდობა. სიმინდი ძალიან ძვირია, თითქმის 80 კაპეიკამდე ავიდა ფუთი.

დროებით მცხოვრები.

—

ცხინვალი ქირნახულებს როგორღაც კარგი პირი ვერ უჩანს და არ იცის კაცმა, რას დააბრალოს. მარტის გასულს სასიამოვნო წვიმები იყო დღედაღამ და, იმედია, როგორც ყანებს, ისე ბალახს ტანს შეუყრის, თუ ზამთრისაგან არ არის დაზიანებული ყანები.

სააღდგომოდ ყველაფერის სიძვირე იყო. კვერცხი ასი 1 მ. 25 კაპ. იყიდებოდა. კულავ მანეთს არ გასცილებია.

30 მარტს, შუადღის უკან, ასანიძის ვენახში ვიღამაც საწნახელს ცეცხლი წაუკიდა. ხალხის შემწეობით ცეცხლი ჩქარა ჩააქრეს. ზარალი ოც თუმნამდეაო.

რუსეთი

უმაღლესი დადგენილება ფინლიანდიაში სახელმწიფო წეს-წყობილებისა და მშვიდობიანობის დამცველ ღონისძიებათა შესახებ.

ხელმწიფე იმპერატორმა 1903 წ. 20 მარტს დაამტკიცა შემდეგი დროებითი დადგენილება ფინლიანდიაში სახელმწიფო წესწყობილებისა და საზოგადოებრივ მშვიდობიანობის დასაცველად.

1) ფინლიანდიის გენერალ-გუბერნატორს ეძლევა უფლება:

ა) დახუროს დროებით სასტუმროები, წიგნის მაღაზიები და საწყობები, სავაჭრო და

ეროვნული ბიბლიოთეკა

საზოგადო სამრეწველო დაწესებულებანი.

ბ) აკრძალოს ყოველნაირი საზოგადო და კერძო კრებანი.

გ) დახუროს კერძო საზოგადოებანი და მათი განყოფილებანი.

დ) აუკრძალოს ფინლიანდიაში ცხოვრება იმ პირთ, რომელთაც მავნედ იცნობს სახელმწიფო წეს-წყობილების და საზოგადოებრივ მშვიდობიანობისათვის.

2) იმ პირთ, რომელთ იმპერიაში გადასახლება გადაწყვეტილი იქნება, შინაგან საქმეთა მინისტრის განკარგულებაში გარდასცემენ, რომელიც იმათ თავის შეხედულობის დაგვარად პოლიციის ზედამხედველობას დაუქვემდებარებს. გენერალ-გუბერნატორის ან გუბერნატორის მოწერილობით, ეს პირნი შეუძლიანთ დააპატიმრონ საზოგადო პოლიციასა ან ჟანდარმთა კორპუსის მოხელეებმა და საპატიმროში იყოლიონ დანიშნულ ადგილს გაგზავნამდე. აგრეთვე მოექცევიან იმითაც, რომელთაც აეკრძალათ ფინლიანდიაში ცხოვრება და დანიშნულ დროზე არ წავიდნენ ფინლიანდიიდგან ან თავის ნებით დაბრუნდნენ იქა.

3) ამ დადგენილების 1-ლ და 2 მუხლის თანახმად განძევებულთ შეიძლება მოესპოთ სახელმწიფო პენსია, მხოლოდ ამისათვის უმაღლესი ნებართვაა საჭირო.

4) ფინლანდიის გუბერნატორებს უფლება ეძლევათ ადმინისტრატიული წესით გადასწყვიტონ საქმეები იმათ შესახებ, ვინც დაარღვევს უმაღლეს ბრძანებას საზოგადო ყრილობათა შესახებ და არ აასრულებს გამოცემულ სავალდებულო დადგენილებათ და პოლიციისაგან გამოცხადებულ განკარგულებათ. დამნაშავეთ გუბერნატორები მიუსაჯავენ ჯარიმას, არა უმეტეს 400 მარკისა. ვინც ჯარიმის გარდახდას ვერ შეასრულებს, დაპატიმრებულ იქნება. გუბერნატორის დადგენილებაზე შეიძლება საჩივრის განცხადება გენერალ-გუბერნატორთან ორი კვირის განმავლობაში. გენერალ-გუბერნატორის განჩინება საბოლოო იქნება და მისი განსაჩივრება აღარ შეიძლება.

5) ქალაქის მაგისტრატები, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო საზოგადო მართველობანი ექვემდებარებიან გენერალ-გუბერნატორის და გუბერნატორების ზედამხედველობას შემდეგის წესით:

ა) უნდა ეცნობოს გუბერნატორს იმ პირთა შესახებ, რომელნიც არჩეულ იქნებიან ბურგომისტრებად, რათმანებად, ქალაქის თვითმართველობის რწმუნებულთ თავმჯდომარეებად ან თავმჯდომარის ამხანაგებად, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო მმართველობის წევრებად. გუბერნატორს შეუძლია არ დაამტკიცოს წარმოდგენილი კანდიდატი; თუ არჩეული პირი ორჯერ არ იქმნა დამტკიცებული, მის ადგილზე მოხელეს დანიშნავს სენატის სამეურნეო დეპარტამენტი გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით. ბ) სენატის სამეურნეო დეპარტამენტს უფლება აქვს, გენერალ-გუბერნატორთან შეთანხმებით, გადააყენოს სამსახურიდან ადმინისტრატიულის წესით ბურგომისტრები, რათმანები, საქალაქო რწმუნებულთა თავმჯდომარე და მისი ამხანაგი, აგრეთვე საქალაქო და სასოფლო მმართველობათა ყველა მოხელენი.

გ) გუბერნატორებს ნება ეძლევათ ყველა თვით-მმართველობის დაწესებულების დადგენილება, რომელიც არ შეეფერება სახელმწიფო საზოგადო ინტერესს, ან ადგილობრივ მკვიდრთა საჭიროებას, ან კანონის წინაამდეგი თუ არის, გააუქმოს. გუბერნატორმა ყოველი ამგვარი თავისი განკარგულება უნდა შეატყობინოს გენერალ-გუბერნატორს, რომელიც, ეს განკარგულება თუ არ მოიწონა, სენატს მისცემს წინადადებას მისი მოსპობის შესახებ.

6) ეს დადგენილება ძალაში იქნება სამი წლის განმავლობაში იმ დღიდგან დაწყებული, რა დღესაც გამოცხადებული იქნება ფინლიანდიის დიდ სამთავროს დადგენილებათა კრებულში.

უცხოეთი

საფრანგეთი. ანდრე ვერვოორმა საჩივარი აღძრა ბესსონისა და გაზარის,—გაზ. „Figaro"ს რედაქტორების წინააღმდეგ ცილის წამებისათვის. აი, რას იუწყება გაზ. „Ber. Tag."-ის პარიჟელი კორესპონდენტი ამ საქმის შესახებ.

სანამ მინისტრ-პრეზიდენტი კომბი ეხლანდელ თანამდებობას მიიღებდა, მის შვილს ედგარს მესამე ხარისხოვან პრეფექტის ადგილი ეჭირა. როდესაც-კი მამა მისი მინისტრ-პრეზიდენტად დაინიშნა, ედგარი თავის კაბინეტის უფროსად დანიშნა, რადგან დიდი ნდობა ჰქონდა მისი. ედგარის ასეთის სიჩქარით დაწინაურებამ დიდი შური დაჰბადა მრავალ საპოლიტიკო მოღვაწეთა შორის; ახალგაზრდა კომბმა ვერ მოახერხა აღელვებულ მოპირდაპირეთა დაშოშმინება. პირ-იქით, იგინიც-კი გადაიკიდა, რომელნიც თავდაპირველად კარგის თვალით უყურებდნენ; ასე რომ ეხლა როგორც მოხელენი, ისე დეპუტატნი, უმეტესობა მაინც, მტრულად უყურებენ. ყოველ ეჭვს გარეშეა მისი პირადი უანგარობა და პატიოსნება, მაგრამ, როგორცა სჩანს, ისეთი დაუდევრობა ჩაუდენია, რომ სამინისტროს მტრებს შეუძლიანთ მეტად გაზვიადონ და კუდი გამოაბან ამ საქმეს.

წინად პროვინციაში იყო და მყუდროდ სცხოვრობდა; ეხლა-კი, სამაგიეროდ, როცა პარიჟში გადმოსახლდა, სრული თავისუფლება მისცა თავსა და გართობა დროსტარებას ბევრ დროს ანდომებდა. ამასთანავე დაუახლოვდა ისეთ კაცებს, რომელთანაც ყოველ გვარ დაახლოვებას უნდა მოჰრიდებოდა თავის ოფიციალურ მდგომარეობის გამო.

როშფორის სიძე ვერვოორი—უკიდურესი ნაციონალისტი—დრეიფუსის საქმის გარჩევის დროს და ვერსალის ბრბოს წინამძღოლი ზოლას საქმის გარჩევის დროს, ეს ვერვოორი, გამომცემელი ერთის უმნიშვნელო გაზეთისა (Soir),—ისე იყო დაახლოვებული ედგარ კომბთან, რომ ყოველ ჟამს დაუკითხავად შეეძლო მის კაბინეტში შესვლა, მაშინ როდესაც პრეფექტები და რედაქტორები დიდ გაზეთებისა მისაღებ ოთახში ელოდნენ ხოლმე თავის რიგსა.

ვერვოორიც სარგებლობდა მინისტრ-პრეზიდენტის შვილის მეგობრობით, და ძნელი სათქმელია, რამდენად ბოროტად იყენებდა მის ნდობას. მაგ., რამდენსამე კლუბს დაჰპირებია, ბანქოს თამაშის ნებართვას აგიღებთო, და ბევრი სხვა შუამდგომლობაც აღუთქვამს კიდევ. მართლა სთხოვა ბესსონს, რომელიც კარტეზიანთა ძმობის სასარგებლოდ ჰმოქმედობდა, მილიონი ფრანკი ედგარ კომბისათვის, თუ არა, ჯერ არავინ იცის; მაგრამ უმაღლეს წრეებში დიდად შეშფოთებულნი არიან, რადგან ვერვოორს ედგარ კომბის ხელმოწერილი სარეკომენდაციო წერილები აღმოსჩენია. მინისტრ-პრეზიდენტს—ედგარის მამას—სრულიად არა სცოდნია-რა, თურმე, მისის შვილ სა და ვერვოორის დამოკიდებულობის შესახებ.

იაპონია. გაზ. „Mor. Or."-ში იბეჭდება იოკოჰამაში მყოფი ბელგიის უმთავრეს კონსულის—ბურის მოხსენება „ამომავალ მზის" იმპერიის ეკონომიურ მდგომარეობის შესახებ.

იაპონიას სრულიად განცალკევებული გეოგრაფიული მდგომარეობა უჭირავს მთელს დედამიწის ზურგზედ. იგი წარმოადგენს კუნძულთა დიდ კრებულს—330-მდე, რომელთაც (კუნძული ფორმოზაც რომ ვიანგარიშოთ) 418,327 ოთხ-კუთხი კილომეტრი უჭირავს. უკანასკნელ აღწერით მცხოვრებთა რიცხვი 46,267,614 უდრის, ე. ი., თითო ოთხ-კუთხ კილომეტრზედ 111 სული მოდის. მცხოვრებნი სამ წოდებად განიყოფებიან: კეთილშობილნი—4,551 სული, სამურანი—2,105,698, და მდაბიონი—41,352,984.

როგორც ჩინეთსა, ისე იაპონიაში მეურნეობას საპატიო ადგილი უჭირავს და თითქმის მცხოვრებთა ნახევრობა მიწის მუშაა. მთელის იაპონიის $^1/_{23}$ ნაწილი ბუნებრივს ტყეს უჭირავს, რომლის $^1/_{18}\%$ ხელოვნურადაა გაშენებული. ხე-ტყის მრეწველობა დიდადაა გავრცელებული. აღმონათხართა შესახებ უნდა ვსთქვათ, რომ ყველაზედ უფრო საჭირო ლითონი, რომელიც ამ ქვეყანაში მოიპოვება,—სპილენძია. უკანასკნელ წლებში დიდად განვითარდა იაპონიის აღებ-მიცემობა. 1890 წელს 56,603,506 იენის საღირალი საქონელი იყო გატანილი და 81,728,580 სა შემოტანილი; 1901 წელს გაუტანიათ—252,344,543 იენისა და შემოუტანიათ—255,816,644-სა.

რა მომავალი ელის იაპონიას?

ბევრი ასეთ პასუხს იძლევა: „მეოცე საუკუნეში იაპონიას უჭირავს ყველა კუნძულები, რომელნიც კამჩატკასა და ფილიპპეს კუნძულთა შუა მდებარეობს. ამ ახალგაზდა იმპერიას, რომელიც მხოლოდ 1868 წელს გაერთიანდა, დიდ-ძალი მინერალური და ხეტყის, ჯერ კიდევ სრულიად ხელუხლებელი, სიმდიდრე მოეპოვება. მკვიდრნი მეტად გამრჯელი, მუყაითი და ნიჭიერი ხალხია. თან და თან სტოვებენ ძველს აზიურს წესებსა და ითვისებენ ევროპიულს. იგინი დიდი თაყვანის-მცემნი არიან თავის ხელმწიფისა, რომელიც იმავე დროს მათი სასულიერო უფალიცაა. იაპონელნი მტკიცე პატრიოტნი არიან, ქველნი და შემმართებელნი; თავი მოაქვთ თავიანთ გამარჯვებით და სრული უფლებაცა აქვთ თავმოწონებისა, რადგან ძირიანად შესცვალეს სახელმწიფო და საეკონომიო წესები, რაზედაც აღმოცენდა ეხლანდელი დიდება იაპონიისა. გარდა ამისა, იაპონია დიდად მოწადინებულია ჯეროვანი ადგილი დაიჭიროს მსოფლიო პოლიტიკაში და ამიტომაც ამოუდგა მხარში თავის ახალს მოკავშირეს—ინგლისს. მისმა მხედრობამ სავსებით გაამართლა მთავრობის იმედები. იაპონიის სავაჭრო ნავოსნობამ ყველა ზღვებში გაიდგა ფეხი. საგარეო აღებ-მიცემობა დიდის სისწრაფით იზრდება; შინაური წვრილი მრეწველობა ადგილს უთმობს საქარხნო მრეწველობას. იაპონელთა საკომერციო თავმოყვარეობას ჯერჯერობით ხელს უცარავს კაპიტალის სიმცირე. იგინი—ღარიბი ხალხია, დიდი გადასახადები აწევთ კისერზე შეიარაღებულ მშვიდობიანობის წყალობით. მაგრამ სიმდიდრეს შრომა ჰქმნის; და იაპონიაც გამდიდრდება, თუ მეტად არ გაიტაცა პატივ-მოყვარეობამ. მხოლოდ იაპონელ სახელმწიფო მოღვაწეთა წინდახედულობა და გამჭრიახობა თავმდებია იმისა, რომ გონიერების ფარგალს არაოდის არ გადასცდებიან და სახელმწიფოს უკიდურესობამდე არ მიიყვანენ.

ოსმალეთი. გაზ. „ვეჩერნი ფოჩტ." იუწყება,—გასულ შაბათს სტამბოლში ალბანელები სცდილობდნენ უწესოება მოეხდინათ. ოთხი ალბანელი ჯარის კაცი ჩამსხდარიყვნენ ეტლში და დამბაჩების სროლით დაჰქროდნენ ქალაქის ევროპიელთა ნაწილში. სამხედრო დარაჯებმა ძლივს შეიპყრეს იგინი და ილდიზ-კიოსკში გაგზავნეს. ამავე დროს ქალაქის მეორე ნაწილში რამდენმამე ალბანელ გვარდიელმა იძვრეს დაშნა და დიდი არეულობა მოახდინესო.

— „იკდამი" სწერს—გერმანიის მთავრობამ მიუწერა მაუზერის იარაღის ქარხანას: ჩვენთვის იარაღის დამზადებას დროებით თავი ანებე და ოსმალეთისათვის საჩქაროდ დაამზადე რაც შემოკვეთილი გაქვსო. ეხლა კი უნდა დავრწმუნდეთო,—დასძენს გაზეთი, —რომ გერმანია და ოსმალეთი მტკიცედ შეკავშირებულან და ერთმანეთს თანაუგრძნობენო.

პარიჟი (საკუთარის კორესპონდენტისაგან)

წერილი მე-18-ტე.

კლიუნი. მდ. სენასკენ რომ ჩაუხვევთ ს. მიშელის ბულვარის მარჯვენა მხარეს, ძალაუნებურად შეჩერდებით მოყომრალო შენობასთან, ანუ უკედ რომ ვსთქვათ შენობის ნაშთებთან, რომლის ერთი კედელი ს. მიშელის ბულვარზედ გადის და დიდათ განირჩევა ამ ბულვარის მაღალ და ერთფეროვან შენობათაგან. ნაშთების წინ-კი, ს. მიშელის გასწვრივ, ს. ჟერმენის ბულვარამდის გადაჭიმულია მწვანე ბაღი, სავსე ვეებერთელა და ბებერის ხეებით.

ამ ბაღში ბევრია ძველებურ სვეტების ნამსხვრევები, ქანდაკებანი, ფათალოთი შებორბლილი მადონები და მითოლოგიურ მხეცთა უცნაური სახეები.

გახვალთ თუ არა ბაღიდგან, ნაშთების გასწვრივ ამართულა კოშკები, რომელთა კამარა-შეკრული კარებები გასცქერის ერთმანერთში გადახლართულ ჩარჩოიან ფანჯარებს; გეგონებათ ნაშთი და კოშკები ერთ შენობას ეკუთვნიანო. კოშკები კლიუნის მუზეუმის შენობებია, ნაშთები-კი—რომაული ტერმები, ანუ აბანოები იმ სასახლის ნაშთებისა, რომელიც მესამე საუკუნის დამლევს ცეზარმა კონსტანცი ხლორმა ააშენა და სადაც 360 წ. რომის იმპერატორად აღიარებულ იქნა იულიან განდეგილი, ის იულიანი, რომელმაც, თავის გამეფების ორის წლის შემდეგ, სომხეთის მთებში დიდებული დასასრული რომ მოიპოვა. სწორედ გასაკვირველია—იმ რომის სასახლის დიდებულ ნაშთების გასწვრივ, რომ სასახლეშიც ძრიელ უყვარდა ცხოვრება იმპერატორ იულიანს, ამ კერპთ-მსახურების უკანასკნელ და დაუღალავ მეომარს და დაუძინებელ მტერს ძლევა მოსილ ქრისტიანობისას, —ამართულია მშვენიერი შენობა მე-XV საუკუნეში კლიუნის ორდენის ბერების მიერ აშენებული; აშენებული იმ ორდენის მიერ, რომელსაც დასავლეთ ევროპის საეკკლესიო ისტორიაში თვალსაჩინო ადგილი უკავია. გილდენბრანდი, პაპა გრიგორი VII, ხომ ამ ორდენს ეკუთვნოდა! მაგრამ გვერდს ნუ აუვლით ამათ, შევჩერდეთ ერთს წუთს ამ კონტრასტებთან; შევჩერდეთ ამ წარსულ საუკუნეების, რომელთა ხსოვნა და კვალი ჯერ კიდევ ცოცხალია, უტყუარ მოწმეებთან, მივუახლოვდეთ და გულმოდგინეთ გავსინჯოთ. ამისათვის-კი საჭიროა კლიუნის ბაღში შესვლა, რომლის ხეების მწვანე ტოტები ნაშთის მოყომრალო და მკვიდრ კედლებს ებჯინება.

ბაღში შესასვლელად საჭიროა რომ გარს შემოუარო, რადგან იგი შენობებს და კლიუნის ნაშთებს სამ მხრივ გარს შემორტყმული აქვს, ს. მიშელისა, ს. ჟერმენისა და სკოლის ერთ პატარა ქუჩის მხრივ; ეს პატარა ქუჩა ს. მიშელის გასწვრივია და ს. ჟერმენიდგან სომერარის ქუჩისაკენ, რომელსაც ეს სახელი გამოჩენილ არქეოლოგის, კლიუნის შენობის ოდესმე მფლობელის სახსოვრად ეწოდა,—გაუხვევს; მხოლოდ ამ ქუჩიდგან შეიძლება ჯერ ეზოში და იქიდგან-კი მუზეუმში—კლიუნის ბაღში შესვლა. კლიუნის ეზო სომერარის ქუჩისაგან სორბონის შენობის პირდაპირ დაშორებულია მაღალ და მკვიდრ კედლით; კედლის იქიდგან-კი მოსჩანან საუცხოვო კოშკების წვერები და ოდნავ დაქანებული სახურავი მუზეუმისა. იქვე მარცხნივ გოტიური თაღიანი პატარა დერეფანია; პირდაპირ-კი ამართულია პატარა კოშკი, სადაც წინად შენობის კარები იყო. აქეთ-იქით კოშკს გარდიგარდმო ჩარჩო გადაჯვარადინებული ფანჯრები აქვს, მათ ზემოდ კიდევ მხატვრული ლავგარდანია, შემკული მშვენიერი ბალიუსტრადით—პატარ-პატარა ბოძები და მარჯვნივაც პატარა და დახურული დერეფანია, რომელსაც ბაღში გაჰყევხართ. დიდის მშვიდობიანობის და მყუდროების გრძნობა შეგიპყრობთ, როდესაც ბაღში შეხვალთ და სადმე კედელთან მიმდგარ ვრცელ სკამებზედ ჩამოჯდებით. კედლები ძირიდგან თავამდე მწვანით არიან შემოსილნი; ეს მწვანე ნახევრად მინგრეულ თაღებზედ და ფანჯრებზედ გადმოკიდებულა. აქ ყველაფერს: ბებერ ხეებს, ძველ კედლებს, მადონების ქანდაკებათ, დიდ და ცარიელ დარბაზთ, რომელთაც ნახევრად და შერჩენიათ კედლები და აქა-იქ ჭერები, მშვიდობიანობის და მყუდროების ბეჭედი აზის. აქ სიწყნარე და სიმშვიდე სუფევს, დიდი მშვიდობა და მყუდროება გამეფებულა... იქით კი, მახლობლად, ბულვრებზედ მოძრაობაა, ხმაურობა. იქაურობა ხალხით არის სავსე, რომელიც სადღაც მიეშურება, კონკების მოძრაობის ხმა ისმის. აქ მყუდროებაა, რომელსაც მხოლოდ ბეღურათა ფრთხრიალი და გაკვეთილების გათავების შემდეგ მოსწავლეთა ჟივილ-ხივილი არღვევს, იქ კი მუდმივი ხმაურობაა. აქ მშვიდობა და უდარდელობაა, იქ კი მღელვარება და საქმიანობა. აქ მთელი საუკუნოებია, იქ კი ერთი წუთი! გამოხვალთ თუ არა კლიუნის ბაღიდგან, დასტოვებთ თუ არა უძველეს კედლებს კლიუნისასა და, დაინახავთ-რა ხმაურობით მოცულ ბულვრებს, აზბოზქრებულ ცხოვრებას, მათდა უნებურად დაუწყებთ ცქერას ამ უკანასკნელთ, როგორც წუთიერს და წარმავალს. როგორ არის ხალხი გართული, როგორ ჰღელავს, სადღაც მიეჩქარება, რაღასაც ეშურებათ, გეგონება: რაღასაც, კარგრამეს შესანიშნავს და საშვილიშვილო საქმეს აკეთებსო...

მაგრამ, ვინ იცის, ეგებ ამ რომაელ სასახლის ძველ ტერმების კედლებმა, რომელიც ოდესმე გაუვალი ტყეების მომსწრეა, კიდევ ჰნახოს ამისთანა ტყეები; იქ, სადაც ეხლა შვიდ სართულიანი სასახლეა, საცა ქუჩეაია ხალხით სავსე, და კონკის მოძრაობაა და ხალხის ხმაურობა—ოდესმე კვლავ ისმოდეს ზუზუნი ქარისა და კვნესა ხეებისა, შრიალი ფოთლებისა და გალობა ფრინველებისა!

ვ. ხუდადოვი.

ნარკვევი

სარედაქციო კომისიამ, რომელიც „სამოქალაქო დებულების" შედგენას ადგია, გამოსცა მე-IV წიგნის პროექტი, სახელად: „მემკვიდრეობითი უფლება". გაზ. „Русск. Вѣдом."-ში ვკითხულობთ ამ პროექტის შესახებ:

„აწ არსებულ კანონებს მემკვიდრეობის შესახებ საფუძვლიანი რეფორმა სჭირიათ. კომისიამ განიხილა მემკვიდრეობით სისტემის უმთავრესი საფუძველი. სხვათა შორის მემკვიდრეობით და გვთილ-შენაძენ საკუთრებათა გარჩევა და რეფორმა უნდა შეეხოს აგრეთვე ქალთა მემკვიდრეობით უფლებას. რუსეთის კანონმდებლობა ლიბერალურია, რაც შეეხება ცოლ-ქმართა ქონების დამოკიდებულების განსაზღვრას, და ძლიერ სასტიკად ეკიდება ქალთა მემკვიდრეობით უფლებას. ახალი პროექტი უარჰყოფს ქონების დაყოფას მემკვიდრეობით და გვთილ-შენაძენად, სწორ-მემკვიდრეობით უფლებას ანიჭებს ქალთა და მამა-კაცთ, ანდერძს უფრო მარტივი ფორმა შემოაქვს. ამ პროექტით ბევრი ძველი მემკვიდრეობითი უფლების ნაკლი უნდა იქნას შევსებული. იგი სრულებით ახალ მემკვიდრეობით უფლებას შექმნის და კანონად თუ იქმნა მიღებული საზოგადოთ წინ სასწევს წარმატების გზაზე ჩვენ უფლებასაო,—ამბობს გაზეთი.

დეპეშა

(„რუსეთის დეპეშათა სააგენტოსაგან")

14 აპრილი.

პეტერბურგი. ხელმწიფე იმპერატორმა კეთილ ინება, რომ რუსეთის ავტომობილის საზოგადოება ხელმწიფე მემკვიდრის უავგუსტოესის მფარველობის ქვეშ მიღებულ იქმნეს.

მოსკოვი. კვირას გენერალ-გუბერნატორის სასახლეში მათს უმაღლესობათ ჰქონდათ სამუსიკო საღამო, რომელსაც დაესწრნენ მათნი იმპერატორებითი უდიდებულესობანი. დაპატიჟებული 70-ზე მეტი იყო. კონცერტის შემდეგ გამართული იყო ვახშამი.—დიდის მთავრის პეტრე ნიკოლოოზის ძის მფარველობის ქვეშ მყოფი სამეურნეო მფრინველთ გაშენების რუსეთის საზოგადოება ღირსი შეიქმნა, რათა მის უდიდებულესობისათვის მაერთმია ნიშანი საზოგადოებისა და თავისი გამოცემანი

პენზა. „სკუბერ. უწყება"-ში დაბეჭდილია უმაღლეს წყალობის შესახებ,—გადაიდოს პენზის თავად-აზნაურთა დასახმარებლად, ადგილობრივ თავად-აზნაურთა საურთიერთო დამხმარებელ კასსის ძირითად თანხად, 250,000 მანეთიო.

ყაზანი. ყაზანის ბირჟის საზოგადოებას დაუდგენია, ხელახლად აღძრას შუამდგომლობა, რომ ყაზანი ციმბირის ლიანდაგთან შესაერთებლად უახლობელესი გზა კატელნიკზე გაიყვანონ.—ყაზანის საბირჟო კომიტეტის თავმჯდომარედ არჩეულ იქმნა კონსტანტინე ივანეს ძე ოკონიშნიკოვი.

მოსკოვი. 14 აპრილს, 3 საათსა და 20 წუთ. მათნი უდიდებულესობანი და მათნი უმაღლესობანი მობრძანდნენ პეტროვსკო-ალექსანდროვსკის მოსკოვის თავად-აზნაურთა პანსიონ-თავშესაფრის ახალს სადგომში, სადაც მათ მიეგება გუბერნიის თავად-აზნაურთა წინამძღოლი და თავშესაფარის დირექტორი. ხელმწიფე იმპერატრიცას და დიდს კნიაჟნას მიართვეს თაიგულები. მეორე სართულის დარბაზში თავშესაფრისა და პანსიონის ბავშვები მწკრივად იდგნენ. ადგილობრივი თავად აზნაურობა და მანდილოსანნი მიეგებნენ. ამალისა და მინისტრების ფრედერიკსის და პლევეს თანახლებით მათნი უდიდებულესობანი და უმაღლესობანი შებრძანდნენ ეკლესიაში და მცირე პარაკლისი მოისმინეს. ეკლესიის მნათემ გრაფმა ორლოვ-დავიდოვმა ხელმწიფე იმპერატრიცას მიართვა ძველი, მეხუთმეტე საუკუნის ჯვარი. შემდეგ მათმა უდიდებულესობამ და უმაღლესობამ გაშინჯეს პანსიონი, საგანგებოდ მომზადებულს სასტუმროში მიირთვეს ჩაი და თვისნი სახელნი ჩასწერეს წიგნში. მოწაფეებმა „ურას" ძახილით გააცილეს მათნი უდიდებულესობანი. ქუჩაზე დიდძალი ხალხი იყო. აქედგან მათნი უდიდებულესობანი მიბრძანდნენ მოსკოვის სამრეწველო სასწავლებელში, რომელიც დაწვრილებით დაათვალიერეს; შემდეგ ინახულეს სავაჭრო კლასები.

კაპ-გაიტი. რევოლიუცია დასრულებულად უნდა იქნას ცნობილი.

ბონი. ჩამობძანდა პრეზიდენტი ლუბე და დელკასესაგან დეპეშა მიიღო, ამერიკის ესკადრა 16 აპრილს მარსელში მივა მისასალმებლად. ლუბე გაემგზავრა ზღვით ტუნისში.

პეტერბურგი. 1 აპრილს სააგენტომ მიიღო ხარკოვიდან დეპეშა, თავისი აგენტისაგან ხელ-მოწერილი, რომლითაც იგი აცნობებდა სააგენტოს რადულოვიჩის გარდაცვალების ამბავს. ტელეგრამმა ყალბი გამოდგა. ჯერ-ჯერობით ვერ შეიტყვეს ამ ტყუილი ამბავის შემთხზველის ვინაობა.

15 აპრილი.

პეტერბურგი. გენერალ-მაიორი ვიშესლავცევი დაინიშნა 1 კავკასიელ ყაზახთა დივიზიის უფროსად. გენერალ ადიუტანტი კუროპატკინი გაემგზავრა სამსახურის საქმეებისათვის და უმაღლესი ბძანებით სამხედრო მინისტრის თანამდებობის აღსრულება დაევალა მთავარ შტაბის უფროსს გენერალ ადიუტანტ სახაროვს.

მოსკოვი. დღეს ხელმწიფე იმპერატორმა და დიდმა მთავარმა ინახულეს ყაზარმები: კრემლში — ლეიბ-ეკატერინოსლავის გრენადერთა პოლკისა და სპასკის—ასტრახანის გრენადერთა პოლკისა. ხელმწიფე იმპერატორმა დაათვალიერა ყაზარმები და სამზარეულო, საჭმელი იგემა და ინახულა ოფიცერთა საკრებულო. ხელმწიფე იმპერატორმა ინახულა გრაფი პ. ა. შუვალოვი.

არხანგელსკი. გუბერნატორის თხოვნით გაგზავნილმა ჩრდილოეთის საზოგადოების ორთქლმავალმა გემმა „ლუნამ" გადაარჩინა დღეს ყველანი, ვინც ყინულმა წაიღო ზღვაში.

რომი. მოვიდა ინგლისის მეფე და სადგურზე მას იტალიის მეფე მიეგება. შემდეგ მშვენივრად შემკული ქუჩები გაიარეს ტერმინის მოედნამდე სადაც ბურგომისტრი მიესალმა ინგლისის მეფეს, როგორც ქალაქის წარმომადგენელი. შემდეგ მეფეებმა განაგრძეს გზა კვირინალამდის, სადაც მეფე ედუარდს მიესალმა დედოფალს ელენეს.

ტუნისი. ლუბემ და დელკასემ ინახულეს ტუნისის ბეი და შემდეგ მთავარ-პრეზიდენტის სასახლეში გაიმართა დარბაზობა და საუზმე, რომელზედაც ბეიმ წარმოსთქვა სიტყვა და გამოაცხადა ერთგულება საფრანგეთის რესპუბლიკისადმი. ლუბემ მადლობა გამოუცხადა.

ნიუიორკი. გილემსტატიდან იუწყებიან, რომ ვენესუელის მთავრობის ჯარები დამარცხდნენ მეამბოხეთაგან და ახლა გამაგრდნენ კოროს მიდამოზე.

პრაგა. 438 სეხელმა რწმუნებულმა ერთხმად გადასწყვიტეს შემდეგი: „ახლანდელი მთავრობა უგულვებელ ჰყოფს აწინდელ უფ-

ლებრივ წესსა, მისდევს გერმანელთა უიცირესის ნაწილის სურვილს და ამის გამო ვნებას სცენებს ჩეხთა ხალხის ინტერესებს. ჩეხელი დეპუტატები უნდა დარჩნენ ოპოზიციაში ეხლანდელ მთავრობის წინაალმდეგ.

მიმოსვლა რკინის გზის მატარებლებისა

15 ოქტომბრიდგან 15 მაისამდე.

(ფრჩხილებს გარეშ ნაჩვენებია პეტერბურგის საათი, ფრჩხილებში-კი—ტფილისისა).

ა) ტფილისიდან მიდის:

ბათუმს:—1) საფოსტო № 3 საღამოს 7 ს. 20 წ. (8 ს. 18 წ.); 2) სამგზავრო № 5 დილის 8 ს. 50 წ. (9 ს. 48 წ.).

ბაქოს:—1) საფოსტო № 4 დილის 11 ს. 5 წ. (12 ს. 3 წ.); 2) სამგზავრო № 6 საღამოს 9 ს. 11 წ. (10 ს. 9 წ.); 3) სწრაფი № 20 (სამშაბათობით, პირდაპირ მოსკოვამდე)—დილის 7 ს. 18 წ. (8 ს. 16 წ.).

ყარსს:—1) საფოსტო № 70/71 საღამოს 10 ს. 29 წ. (11 ს. 27 წ.); 2) სამგზავრო და საქონლისა № 74/75 დილის 11 ს. 30 წ. (12 ს. 28 წ.).

მიხაილოვისა და ბორჯომს:—სამგზავრო № 7 ნაშუადღევის 1 ს. 52 წ. (2 ს. 50 წ.).

ბ) ბათუმიდან გამოდის:

ბაქო-ტფილისისაკენ:—1) საფოსტო № 4 საღამოს 9 ს. 54 წ. (10 ს. 52 წ.); 2) სამგზავრო № 6 დილის 7 ს. 50 წ. (8 ს. 48 წ.).

შორაპნამდე:—საღამოს 11 ს. 23 წ. (12 ს. 12 წამ.).

გ) ბაქოდგან გამოდის:

ტფილის ბათუმისაკენ: —1) საფოსტო № 3 საღამოს 11 ს. 45 წ. (12 ს. 43 წ.); 2) სამგზავრო № 5 ნაშუადღევის 2 ს. 42 წ. (3 ს. 40 წ.); 3. სწრაფი № 19 (მარტო ტფილისამდე) პარასკეობით, ირდაპირ მოსკოვიდგან მოსული)—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

დ) ქუთაისიდგან გამოდის:

ბაქო ტფილისისაკენ:—ღამის 1 ს. 30 წ. (2 ს. 38 წ.).

ბათუმისაკენ: 1) ღამის 1 ს. და 40 წ. (2 ს. 38 წ.);

ბათუმისაკენ: 1) ღამის 3 ს. და 10 წ. (4 ს. 8 წ.) 2) ნაშუადღევის 4 ს. 10 წ. (5 ს. 8 წ.) 3) საღ. 6 ს. 40 წ. (7 ს. 38 წ.).

შორაპნისაკენ:—ღამის 3 ს. 10 წ. (4 ს. 8 წ.).

ე) ფოთიდგან გამოდის:

რიონ-ქუთაისამდე:—დილის 6 ს. (6 ს. 58 წ.).

სამტრედია-ბათუმამდე:—ნაშუადღევის 3 ს. 27 წ. (4 ს. 25 წ.).

სამტრედია-ბაქომდე:— საღამოს 10 ს. 49 წ. (11 ს. 47 წ.). და საღამოს 11 ს. 30 წ. (12 ს. 8 წ,).

სასამართლოს შესახები ცნობანი.

19 აპრილისათვის ტფილისის სამოსამართლო პალატაში დანიშნულია განსახილველად:

1. პალტონ დადიანიძის, ლევან აფაქიძისა და ბურდღუასა და ქვადისალა თადარადავოვების დავა.
2. თ. ალექსანდრე ჯამბაკურ-ორბელიანისა და თ. გიორგი ამილახვრის დავა.
3. შანახ ლაქერბაიას და გრიგოლ თიბიძის დავა.
4. ჯღვანატა ღაღულიასა და მოსე თაბანუხოვის დავა.
5. ეპიფანე ცაგარლისა და ალექსანდრე სარგიჯანსის დავა.
6. დავით და სხ. ამირაჯიბთა და ვასილ და ივანე მაჩაბელთა საქმე.
7. თეკლე იაკოვლევისა და მალაქია ჩოხონოლიძის დავა.
8. ნიკოლოზ მარიშევისა და დავით აბულაძის დავა.
9. იოსებ კასრაძისა და ნიკოლოზ ჯიოშვილის დავა.

განცხადება

ფოთის ქალაქის გამგეობა

აცხადებს, რომ ამა **1903** წლის **30** აპრილს, **12** საათზე, გამგეობისავე თანადასწრებით, მოხდება საჯარო ვაჭრობა, რომლის დროსაც სახელმწიფო და სახაზინო გადასახადების დარჩენილ ფულის შესავსებად გაიყიდება ქვემოდ დასახელებულთა უძრავი ქონება:

1, ჭიდაევისა მარიანა მიხეილის ასულისა: ცარიელი მიწის ნაჭერი, დაგეგმილი, ფოთში მდებარე, დიდს კუნძულზე, პეტროვსკის სანაპიროზე, № 1114, ზომით 200 ჩორსო საჟ. დარჩენილია გადასახადი 1 მ. 87 კ.

2, გაიდამაშჩუკისა თეოდორესი: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის ნახიმოვის ქუჩაზე, ფოთში, № 888, ზომით 200 ჩორსო საჟ. დარჩენილია 87 კ.

3, მგალობლიშვილისა ივანე კონსტანტინეს ძისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის როსტოვსკის ქუჩაზე მდებარე. ქ. ფოთს. № 878, ზომით 200 ჩორსო საჟ. დარჩენილია 87 კ.

4, ჯალაღოვისა ქსენია ალექსანდრეს ასულისა: ორი ნაჭერი ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულის მიხეილის ქუჩაზე მდებარე; ფოთში, №№ 413 და 415, ზომით თითო ნაჭერი 200 ჩორსო საჟ. დარჩენილია 7 მ. 35 კ.

5, კალანდაძისა ივანესი (იგივ ქიშვარდი): მიწის ნაჭერი, დიდის კუნძულის იალტისა და ინიავინის ქუჩების კუთხეში, ფოთს. № 360, ზომით 200 ჩორ. საჟ. შენობებით. დარჩენილია 30 მ. 74 კ.

6, კობა მიხაილაშვილის მემკვიდრეებისა და თავ. მანუჩარ ქობაქიძის მემკვიდრეებისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე, ნიკოლოზის და პოტემკინის ქუჩების კუთხეში, № 10, ზომით 200 ჩორ. საჟ. დარჩენილია 1 მ. 89 კ.

7, ბურდღუ ფარღალავას მემკვიდრეებისა; ნახევარი იმ დაგეგმილ მიწის ნაჭრისა, რომელიც დიდ კუნძულზე, ხილკოვის პროსპექტზე მდებარეობს ფოთში. № 86, ზომით 100 ჩორსო, შენობებით. დარჩენილია 4 მან. 18 საჟ. კაპ.

8, ემანუელისა თეოდორ ვასილის ძისა; ორ ოთახიანი ხის სახლი, დიდ კუნძულზე, სევასტოპოლის ბულვარზე. იყიდება გასატანად მასალა 27 მან. 47 კაპ.

9, ვარდამ ღოდუას მემკვიდრეებისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე, ტაგანროგის ქუჩაზე, ფოთში, № 620, ზომით 200 ჩორსო საჟ. 27 მან. 47 კაპ.

10) ქობაქიძესი ვლადიმერ მანუჩარის ძისა: ცარიელი მიწა, დაგეგმილი, დიდ კუნძულზე, ოდესის სანაპიროზე, ფოთში № 55, ზომით 270 ჩორსო საჟ. 3 მან. 63 კაპ.

11, სოლომონ შაბურთვის მემკვიდრეებისა: ორი ნაჭერი მიწისა, დაგეგმილი, სინიავინსკისა და კერჩენსკის ქუჩების კუთხეში, №№ 582 და 584, ზომით 200 ჩორსო საჟ. 1 მ. 46 კაპ.

12, მასლოვისა, ა. ნ. დაგეგმილი მიწა, დიდ კუნძულზე, ოდესის სანაპიროზე. № 51, ზომით 200 ჩორსო საჟ. 5 მან. 48 კაპ.

13, ნაკაშიძესი სოფიო ნიკოლოზის ასულისა: სამი ნაჭერი ცარიელი მიწა, დაგეგმილი, ოდესის სანაპიროსა და კაზარსკის ქუჩაზე №№ 75, 76 და 77, ზომით 740 ჩორსო საჟ. 4 მან. 43 კაპ.

14, დავით ერაგიას მემკვიდრეებისა; იმ დაგეგმილ მიწის ნახევარი, რომელიც მდებარეობს ხილკოვის პროსპექტისა და ლაზარევიჩის ქუჩის კუთხეებში. № 236, ზომით 100 ჩორსო საჟ. 1 მან. 44 კაპ.

15, დიუბიმსკისა ვასილისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი. დიდ კუნძულზე ნახიმოვის ქუჩაზე. № 641, ზომით 200 ჩორსო საჟ. 5 მან. 17 კაპ.

16, ალექსანდრე ქიშმიშევის მემკვიდრეებისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, დიდ კუნძულზე ნახიმოვის ქუჩაზე. № 333, ზომით 200 ჩორსო საჟ. 6 მან. 39 კაპ.

17, ბატრაკოვისა ანტონ სტეფანეს ძისა: მიწის ნაჭერის ნაწილი, რომელიც მდებარეობს გურიის ქუჩაზე მე-LXVII უბანში. № 622, ზომით დაახლოვებით 130 ჩორსო საჟ. 1 მ. 87 კაპ.

18, ჟორბენაძისა ალექსანდრე დანიელის ძისა: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, პანაცოვსკის ქუჩაზე მე-LIX უბანში, № 606, ზომით 338 ჩორსო საჟ. 66 კაპ.

19, ქერეჯ-ოღლის მემკვიდრეებისა: დაგეგმილ მიწის ნაჭრის ნაწილი, ლაზარევიჩის ქუჩაზე, მე-XXII უბანში, № 222. ზომით დაახლოვებით 130 ჩორსო საჟ. 1 მან. 87 კაპ.

20, კიზირიასა გოგიასა და პავლესი: ორი დაგეგმილი მიწის ნაჭერი, ისტომინის ქუჩაზე დიდ კუნძულზე, №№ 485 და 487. ზომით თითო 200 ჩორსო საჟ. 3 მან. 63 კაპ.

21, რურუასი გიორგისა: იმის დაგეგმილ მიწის ნაჭრის ნაწილი, რომელიც მდებარეობს დიდ კუნძულზე ხილკოვის პროსპექტზე, № 88. ზომით 100 ჩორსო საჟ. 3 მან. 76 კაპ.

22, კაპლატაძისა ვახტანგ ბიჭიას ძისა: ორი დაგეგმილი მიწის ნაჭერი, დიდ კუნძულზე, ფეოდოსიისა და ლეფორტოვის ქუჩებზე, №№ 50 და 503 ზომით თითო 200 ჩორსო საჟ. 9 ოთახიან ხის სახლით 77 მან. 70 კაპ.

23. თუმანოვისა ალექსანდრესი: დაგეგმილი მიწის ნაჭერი, ისტომინის ქუჩაზე დიდ კუნძულზე, № 21. ზომით 150 ჩორსო საჟ. 3 მან. 63 კაპ.

24, ზურაბ გაბუნიას მემკვიდრეებისა: ნაწილი ორ დაგეგმილ მიწის ნაჭრისა, იალტის ქუჩაზე დიდ კუნძულზე, №№ 465 და 470. ზომით დაახლოვებით 200 ჩორსო საჟ.—89 კაპ.

25, მიხეილაშვილისა აბრამისა და ისაკის მემკვიდრეთა: 8 ცალიერი დაგეგმილი ნაჭრეები. როზენის ქუჩაზე მე-XXX უბანში №№ 799, 800, 801, 802, 803, 804, 805 და 806. ზომით 4941, 85 ჩორსო საჟ. 3 მან. 61 კაპ.

26, ტერ-შმოვანოვის მემკვიდრეებისა: დაგეგმილი ნაჭერი, სომხებისა და საეკლესიო ქუჩაზე, მე-VI უბანში, № 61, ზომით დაახლოვებით 611 ჩორსო საჟ. 9 მ. 26 კ.

27, თურქიასი ლაზარე დავითის ძისა: სამი დაგეგმილი ნაჭერი, ლაზარევიჩევის, ბარიატინკის და ზღვის ქუჩებზე, მე-XIII უბანში, №№ 115, 116 და 117, ზომით ვარაუდით 2355 ჩორსო საჟ. ხის ფარდულით. 11 მან. 49 კ.

28, შართავასი პეტრე გაბრიელის ძისა: ხის სახლი, ერთი განყოფილება, როზენის ქუჩაზე, ასაღებად, 86 კ.

29, შუშანიასი, ივანესი: ხის სახლი ასაღებად, მდებარეობს მირსკის ქუჩაზე, ნაჭერი № 843. 87 კ.

30, მაჭავარიანისა ივანესი: ცალიერი დაგეგმილი ნაჭერი, როზენსა, საეკლესიო და ბარიატინსკის ქუჩებზე, მე-XIV უბანში, № 122 ზომით 6901 ჩორსო საჟენი 3 მ. 61 კ.

31, ჩიტაიასი სპირიდონისა და ესიძის მემკვიდრეთა: დაგეგმილი ნაჭერი, ლიალინის ქუჩაზე, მე-XXXIII უბანში, № 440, ზომით დაახლოვებით 240 ჩორსო საჟენი. 87 კ.

32, შავროვის ნიკოლოზისა: დაგეგმილი ნაჭერი, ლევაშოვის წყლის პირის ქუჩაზე მე-XII უბანში, № 112, ზომით 520 ჩორსო საჟენი. 7 მ. 21 კ.

33, შაფათავასი ბართლომესი: ცალიერი ნაჭერი, მილიუტინის ქუჩაზე, მე-XXVIII უბანში, № 738, ზომით დაახლოვებით 450 ჩორსო საჟენი 30 კ.

34, ავგერინოსა, არისტიდ თემისტოკლიდის ძისა: ერთი სართულიანი ხის სახლი, რკინით დახურული, 7 ოთახიანი სამზარეულოთი და ჩარდახით, ნაჭერი № 81, როზენის ქუჩაზე, სახლი იყიდება ასაღებად, 89 მ. 59 კაპ.

35, ხოშტარიასი პელაგია პეტრეს ასულისა: ხის ფლიგელი, 4 ოთახიანი, ლიალინის ქუჩაზე იყიდება ასაღებად 44 მ. 67 კ.

36, ალანიასი, დარია იაკობის ასულისა: ერთ სართულიანი ხის სახლი, რკინით დახურული, 7 ოთახიანი, სამზარეულოთი, № 55, მე-IV უბანში საეკლესიო ქუჩაზე. სახლი იყიდება ასაღებად 45 მ. 72 კ.

37, ანათაძესი ზებალოსი: ხის თავლა ორ განყოფილებიანი, გაგარინის საწყლის-პირო ქუჩაზე, იყიდება ასაღებად 1 მ. 42 კ.

38, გამბაროვისა სტეფანესი, მემკვიდრეებისა და ნიკოლოზ ზელინოვის მემკვიდრეებისა: ოთხი დაგეგმილი ნაჭერი ზღვის ქუჩაზე, მე-53 უბანში, №№ 527, 528, 530, და 532, ზომით 1040 ჩორსო საჟენი 2 მ. 93 კ.

39) გოლოვინისა ვასილისა და იოსიფ ლუკაშევიჩის მემკვიდრეებისა: ხის სახლი ასაღებად სომხების ქუჩაზე, მე-VI უბანში, № 467 3 მან. 61 კ.

40) დღონტისა ბებურისა: ძველი ხის შენობა, ნაჭერი № 208, ლაზარევიჩევის ქუჩაზე, იყიდება ასაღებად—3 მ. 61 კ.

41) გურჯიასი სიმონის მემკვიდრეთა. ხის სახლი, ოთხ-ოთახიანი სამზარეულოთი, ნაჭერი № 892 ციციშვილისა და ორბელიანთ ქუჩების კუთხეში, მე-95 უბანში, იყიდება ასაღებად 1 მ. 87 კ.

42) დოლიძისა ივლიანისა: ხის სახლი ქალაქის ადგილზე იყიდება ასაღებად 87 კ.

43) ელიგულაშვილის აბრამის მემკვიდრეთა: ორი ხის სახლი, საცა თორაა, ასაღებად 9 მ. 18 კ.

44) ივანე გრიგორიასი: ერთ-სართულიანი ქვის სახლი, ყავრით დახურული 5 ოთახიანი, ერთ ნაჭერ მიწით ქარხნის ქუჩაზე, მე-XX უბანში, № 197, ზომით დაახლოვებით 300 ჩორსო საჟენი 2 მ. 61 კ.

45) იოლინის ავდოტიას მემკვიდრეთა: ძველი ხის სახლი ასაღებად, სომხების ქუჩაზე, მე-XIV უბანში, № 657, 87 კ.

46) კვარიკელიასი გიორგი მღვდლისა: ერთ-სართულიანი ქვის სახლი, 3 ოთახიანი, სომხების ქუჩაზე, ნაჭერ მიწით მე-XIX უბანში, № 180, ზომით დაახლოვებით 270 ჩორსო საჟენი 5 მ. 70 კ.

47) სმირნოვისა დიმიტრის მემკვიდრეთა: ერთ-სართულიანი ქვის სახლი, 6 ოთახიანი, სომხების ქუჩაზე, ნაჭერ მიწით მე-VII უბანში, № 71, ზომით დაახლოვებით 700 ჩორსო საჟენი 54 მ, 62. კ.

48) სარიშვილისა სიმონისა: ხის სახლი ასაღებად, უსახელო ქუჩაზე, ნაჭერი № 1161 1 მ. 42 კ.

49) საბახტარიშვილისა სოლომონისა მემკვიდრეთა: ძველი ხის სახლი ასაღებად, რაჭის ქუჩაზე, ნაჭერი № 438, 1 მ. 87 კ.

50) რუსიასი, დიმიტრი მათეს ძისა. ხის ბუდკა ასაღებად, უსახელო ვიწრო ქუჩაზე, მე-51 უბანში, № 508, 87 კ.

51, რორუასი, ირინე დიმიტრის ასულისა, ძველი ხის სახლი ასაღებად, გურიის ქუჩაზე მე-17 უბანში, № 912, 1 მ. 87 კ.

52, ფრანგიშვილისა, მელანია პეტრეს ასულისა: ხის სახლისა 4 ოთახითა და სამზარეულოთი, კოლხიდის ქუჩაზე, მე-65 უბანში. № 660, ასაღებად 2 მ. 31 კ.

53, ფანცულაიასი, ალექსი საბას ძისა: ხის ბუდკა, არმიანსკი ქუჩაზე, მე 97 უბანში, № 907, ასაღებად 1 მ. 42 კ

54, ნინუას (იოსების) მემკვიდრეებისა: ხის სახლი, ასაღებად, არმიანსკი და მილიუტინის ქუჩაზე, № 785, 1 მ. 47 კ.

55, ნადარაიასი, ანტონისა: ხის სახლი, ასაღებად, როზენის ქუჩაზე, № 595, 86 კ.

56, მაიკოვისა, დიმიტრი ივანეს ძისა; ხის სახლი ორის ოთახით, № 570, ისყიდება ასაღებად 1 მ. 87 კ.

57, ქეციასი, აგიასი: ერთ სართულიანი ხის სახლი, ასაღებად, ბებუთოვის ქუჩაზე, № 696, 66 კ.

58, ქეციასი, ნიკ. დავ. ერთ-სართულიანი ხის სახლი, 5 ოთახით და სამზარეულოთი, უკოპორჩინის ქუჩ., უბ. XXI № 213, ისყიდება ასაღებად 13 მ. 92 კ.

59, კოდოშვილისა, ალექსის: ხის სახლი, ასაღებად, ველიამინოვის ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე, 86 კ.

60, მაკალათიასი, ერისტო ბერიკის ძისა: ხის სახლი 2 ოთახით, ასაღებად, არღუთინსკის ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე—1 მ. 42 კ.

61, რჟევინოვისა, ალექსანდრე მიტრ. ძისა: ხის სახლი, ლევაშოვის ნაპირა ქუჩაზე № 517, ისყიდება ასაღებად—1 მ. 87 კ.

62, ხარბედიასი, დიმ. გიორგის ძისა: ხის სახლი, ციციანოვ. და მირსკოის ქ.ქ. კუთხეში, № 668 და 667, ასაღებად—3 მან. 17 კაპ.

63, უზუნას (გიორგის) მემკვიდრეთა: ხის სახლი, 3 ოთახით, ლევაშოვის ნაპირა ქუჩაზე №№ 551,553, ასაღებად—87 კ.

64, უგერა მოშას მემკვიდრეთა: ხის სახლი, 4 ოთახით, გურიის ქუჩაზე, № 189, უბანი XX, ასაღებად—3 მ. 17 კ.

65, ტუღუშისა, კაცია ბიჭიას ძისა: ხის სახლი, 2 ოთახ., უსახელო ვიწრო ქუჩაზე, № 493, ასაღებად—1 მ. 87 კ.

66, თურქიასი, მაქს. ქუჩუს ძისა: ხის სახლი, სამზარეულოთი, გურიის ქუჩაზე, № 1067, ასაღებად—4 მ. 59 კ.

67, თორჩინავასი, ვასილისა: ხის სახლი, ციციანოვისა და კოლხიდის ქ. ქ. კუთხეში, № 582, ასაღებად—2 მ. 7 კ.

68, ტრაისნის, მართა გრიგოლის ასულისა: ხის სახლი, 3 ოთახი, უსახ. ვიწრო ქუჩაზე, დიდის კუნძულის ნაწილზე, № 53, ისყიდება ასაღებად—4 მ. 18 კ.

69, სპირიდონოვის მემკვიდრეთა: ხის სახლი, 8 ოთახით, არმიანსკი ქუჩა, № 69, ასაღებად—13 მ. 68 კ.

70, ჩიქოვანის დარიასი: ხის ფარდული, 2 განყ., მორსკოი ქუჩა, № 80, ისყიდება ასაღებად—1 მ. 42 კ.

71, იენოშასი, ალექ. პავლეს ძის მემკვიდრეთა: ქვითკირის სახლი, 3 ოთახით, როზენის ქ., უბ. 57, № 584, ზომით დაახლოვებით 338 ჩორსო საჟ.—23 კ.

72, ჩოჩუასი, დიტო ნიკ. ძისა: ხის სახლი, კოლხიდის ქ., № 709, ისყიდება ასაღებად—1 მ. 42 კ.

73, ბაბილუასი როსტომისა: ხის სახლი, 4 ოთახით, ხილკოვის პროსპექტზე, № 295, ასაღებად—10 კ.

74, ნოდიასი, მარკოზის: ხის სახლი, ლაზარევიჩის ქუჩაზე, № 208, ისყიდება ასაღებად—19 კ.

75, ჩაჩავას ზურაბის მემკვიდრეთა: ხის ბუდკა, არღუთ. ქუჩაზე, ქალაქის მიწაზე, ასაღებად—1 მ. 47 კ.

576, ტუებუჩავას თეკლესი: ხის სახლი, ოთახითა და სამზარეულოთი, გურიის ქ., № 927, ასაღებად—19 კ.

7, ჩიქოვანისა პახურიასი: ხის სახლი, ასაღებად,—არღუთინსკის ქუჩაზე, ქალაქისმიაწზე 19 კ.

78, ფაჩულიასი, ალექ. ქუჩუს ძისა: ხის სახლილევაშ. ქუჩაზე, № 113, ასაღებად—1 მ. 42 კ.

79, ავგერინო, ნიკოლოზ, ეპამინონდ და რიამისა: ორ სართ. ქვითკ. სახლი, 9 ოთახით, მიხეილის ქუჩაზე, უბ. VIII, № 83, მიწა ზომით 300 ჩორსო საჟ.—54 მ. 90 კ.

80, კაჭარავასი, იაგორ მარკოზის ძისა: მიწის ნაჭრის ნაწილები გურიის ქუჩაზე, CXVII უბანში № 1065, 240 ჩორსო საჟ. ხის სახლი 2 ოთახით—1 მ. 9.

81, თუხარელისა ივანესი: დაგეგმილი მიწა, ლაზარევიჩევის ქუჩაზე, XX უბანში, 200 ჩორსო საჟ.—1 მ. 87 კ.

82, ზუბიტოვის მემკვიდრეებისა, აწ სოფიო შოსტისა: დაგეგმილი მიწა, ხის ფარდული, ციციანოვის ქუჩაზე, LXVIII უბანში, 260 ჩორსო საჟ. № 666—39 კ.

83, შერთავასი თედო: ნაწილები დაგეგმილ მიწის ნაჭრისა კოლხიდის ქუჩაზე, 57 უბანში, № 585, 140 ჩორსო საჟ.—1 მან. 42 კაპ.

84, ფირცხალაშვილის გიორგისა: სადუქნე ადგილი, ლაზარევიჩისა და ზავოდის ქუჩების კუთხეში, XXI უბანში, № 208, 40 ჩორსო საჟ.—21 კ.

85, წურწუმიასი, აიგონა ბულატის ძისა: ხის ბუდკა ქალაქის მიწაზე, ველიამინოვის ქუჩაზე, ასაღებათ—78 კ.

86, ხოშტარიასი, მიხეილ იოსების ძისა: ხის ბუდკა ქალაქის მიწაზე, ბებუთოვის ქუჩაზე, ასაღებად—1 მ. 42 კ

87, აპეუხოვისა, ანდრია კარპეს ძისა (აწ ევდოკია ლომაიასი): ხის სახლი სამზარეულოთი, სომხის ქუჩაზე, IXV უბანში, № 653, ასაღებათ—3 მ. 17 კ.

88, ტერ-კაზაროვის გრიგოლისა: ძველი ხის სახლი, მოსკოვის ქუჩაზე, XI უბანში. № 101, ასაღებად—1 მ. 87 კ.

89, ქოქაიასი პეტრესა: ხის სახლი, პოტემკინის ქუჩაზე, დიდი კუნძული—3 მ. 63 კ.

90, უნდაძისა მასიკოსი, დაგეგმილი მიწის ნაჭერი, იალტის ქუჩაზე, დიდი კუნძული № 300, 2000 ჩორსო საჟ —87 კ.

91, კუპრაძე მიხეილისა (აწ თავ. მანუჩარ გიორგის ძის ჯაიანისა): მიწის ნაჭერი ბერდიანის ქუჩაზე, დიდი კუნძული, №. 857, 200 ჩორსო საჟ. ხის შენობა—1 მ. 14 კ.

(3—3)

ქუთაისში
ს. მ. ბ. თოფურიას
სამკურნალოში,

რომელიც იმყოფება **მათის უმაღლესობის პრინც ალექსანდრე ოლდენბურგელის** მფარველობის ქვეშ, 60 საწოლია შინაგან, ნერვებისა, საქირურგო, დედათა და თვალით ავადმყოფთათვის, მშობიარეთა განყოფილებით და ქიმიურ-მიკროსკოპიულ გამოკვლევათა კაბინეტით. გადამდების სენითა და სულით ავდმყოფთ სამკურნალო არ ღებულობს.

ახალი წიგნები

გამოვიდა და იყიდება ყველა ქართ. წიგნის მაღაზიებში.

სოსიკო მერკვილაძის მიერ გამოცემული ახალი წიგნები:

სიმღერა აკაკისა. ფასი		15 ,,
პატრა ჩონგური ლექსი (დედა-ენა)		5 ,,
ვაჟრული ჭკუა, ლექსი აკაკისა		5 ,,
დათუნა გოცირიძე **როსტომ ერისთავი**	ძველებური ამბავი აკაკისა	5 ,,
აბრამის და იოზის ლექსი		3 ,,
ოქრუა (ხალხური ზღაპარი)		5 ,,
ორი ქოსატყუილა **ბიჭია მენახირე** **მეფე და სკვინჩა**	ხალხური ზღაპარი.	10 ,,

ვინც მოისურვებს ამ წიგნების სყიდვას ან დაბარებას, მიმართოს ტფილისში, ქვაშვეთის ქუჩაზე (ალექსანდრეს ბაღის პირდაპირ) არჯევანიძის სახ. **ანნა მერკვილაძის ქალთა ტანისამოსის სამკერვალო მაღაზიაში.**

ვინც თვითოეულ გამოცემას იყიდის არა ნაკლებ ერთი მანეთისა, **ყოველ მანეთზე დაეთმობა თითო აბაზი.**

ადრესი ფოსტისა: Тифлисъ, Георгіавская (Кашветская) ул., д. Аржеванидзе. № 12 модная мастерская Анны Мерквиладзе.

საათფთიაქო საქონლით მოვაჭრე
ფარმაცევტთა ამხანაგობა
ტფილისში
(კავკასიის მუზეუმის პირდაპირ „სევერნი ნომრების“ ქვეშ.
ტელეფონი № 741.

აწარმოებს ვაჭრობას ნარდად და წვრილმანად, დილის 8 ს. საღამოს 9 საათამდე. საწყობში ყოველთვის მოიპოვება საუკეთესო თვისების საათფთიაქო და ქიმიური საქონელი, მზა წამლები (პატენტ-მიღებული), სადოსტაქრო იარაღი და შესახვევად სახმარებლი ნივთეულობა, სადეზინფექციო (ჰაერის გასაწმენდი და ჭირის მოსასპობი) წამლები, აფთიაქის და ლაბარატორიისათვის მოწყობილობა, ეთერიანი ზეთები, ბუნებრივი ლითონიანი სხვა-და-სხვა წყალი და მარილი, მრავალ გვარი და მრავალ ფერიანი საპირფარეშო სამკაული, თმის და თვალ-წარბის საღებავი, საზღვარ-გარეთის და რუსეთის საუკეთესო ფირმების კეთილ-სურნელოვანი საქონელი—პარფიუმერია-კოსმეტიკა (დუხი, ოდეკოლონი, ხელის საპნები და სხვ.), ოჯახში სახმარებელი ნივთები —სარეცხისთვის, სამზარეულოსთვის და სხვ, და სხვ.

ადრესი ფოსტისა და დეპეშისა: Тифлисъ Товарищество Фармацевтовъ.

(100—11)

Дозволено цензурою. Тифлисъ, 15 апрѣля 1903 г. Типографія „Гутенбергъ“ (кн. Гр. Діасамидзе) Дворцевая, д. Груз. Дворянства. რედაქტორ-გამომცემელი ა. ი. სარაჯიშვილი.